საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 6 თებერვალი. 2016 წ. №23 (7915), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ნაიკითხავ, სხვასაც ეცოდინება!..

ჯუმბერ სარდლიშვილი: რისი უცოდინრობაც დაუშვებელია!

წარსულთან დაპირისპირება საკუთარ თავთან დაპირისპირებაა ⑥

„ახალი ტფილისი“ – სუპერთანამედროვე რაიონი ③

გაზი: მომგუდველი თუ მაცოცხლებელი... ④

აკი 2-3-პროცენტიანი მოგებითღა ვკმაყოფილდებითო?!

②

სინამდვილეში კი საბაჟოზე გადმოსულ სამედიცინო პრეპარატებსა და აფთიაქში დაწესებულ ფასს შორის თურმე დაახლოებით 300%-იანი სხვაობაა!



რატომ ეჩხირება ყელში პანკისი ლავროვს?..

③



ქართული ქვევრის ღვინო საფრანგეთის იპყრობს ⑫

მაგრამ მაინც იმედი... იმედი... იმედი...



მრავალი გულის ერთ გულში გამაერთიანებელი შემოქმედი ⑨

ის საქართველოდან პირველი იყო

⑩

USD

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.495; ევრო - 2.788;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.656;
100 რუბლი - 3.261; თურქული ლირა - 0.861;
აზერბაიჯანული მანათი - 1.634;
1000 სომხური დრამი - 5.081

ამინდი 6 თებერვლისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +13
დასავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +13
თბილისი: ღამე +1, დღე +17

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

გიორგი მარგველაშვილი:

დამთავრდა პრეზიდენტის პოლიტიკური ფუნქციების შეკრეჭის ტენდენცია

საძართველოს პრეზიდენტის განცხადებით, სულ ახლახან იყო ტენდენცია, რომ რამენაირად პრეზიდენტი გაეყვანათ რეალური პოლიტიკიდან და არ გამოეთქვა საკუთარი პოზიცია, რაც გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ალოგიკურია.

„მახსოვს ტენდენცია, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ – „კანონებზე ნუ ისაუბრებ, იმიტომ, რომ შენ არ გაქვს საკანონმდებლო ინიციატივა. ამიტომ შენ კანონებზე შენი პოზიცია არ უნდა გამოთქვა. შენ უნდა იყო გასული იმ საკითხებზე რეაგირებიდან, რაც კანონებს შეეხება“. მახსოვს საუბარი იმასთან დაკავშირებითაც, რომ „რადგან პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ფიგურა,

რასაც აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს, მას რაღაც საკითხებზე კომენტირების უფლება არ აქვს“. სულ ახლახან იყო ტენდენცია, რომ რადგან პრეზიდენტი მოსამართლე არ არის და მოსამართლეების საქმიანობა დაცულია კონსტიტუციით, თურმე პრეზიდენტმა სასამართლო სისტემაზეც ხმა არ უნდა ამოიღოს. არადა, კონსტიტუციურად პრეზიდენტს ამის უფლება აქვს. იყო ტენდენცია, რომ რამენაირად პრეზიდენტი გაეყვანათ რეალური პოლიტიკიდან და არ მეთქვა ჩემი პოზიცია. ასეთი ტენდენცია იყო, სამწუხაროდ. მსგავსი ტენდენცია აბსოლუტურ ალოგიკურობაშია ნებისმიერ სახელმწიფო კონცეფციასთან. მე ვხედავ, რომ ეს ტენდენცია არის გადალახული. მივესალმები და ვხედავ, რომ ბუნებრივ თანამშრომლობაში შევდივართ. მივესალმები, რომ დამთავრდა პრეზიდენტის პოლიტიკური ფუნქციების შეკრეჭვის ტენდენცია“,– განაცხადა პრეზიდენტმა „მაესტროს“ ეთერში.

თოფაძეს ბიძინა ივანიშვილმა უსაყვედურა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გოგი თოფაძის განცხადებით, 3 თებერვალს პარლამენტში გაკეთებული განცხადების შემდეგ იგი ბიძინა ივანიშვილს ესაუბრა და მისგან საყვედურიც მიიღო „ნორმალურ ფარგლებში“ – ამის შესახებ თოფაძემ ტელეკომპანია „იბერიას“ გადაცემა „პრიორიტეტებში“ განაცხადა.

„ჩემი გამოსვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს ველაპარაკე, მითხრა, რომ არ უნდა მეთქვა ასე მკვახედ. მე ჩემი ბუნება მაქვს. მე ყველაფერს ვლაპარკაობ, რასაც ვფიქრობ“, – აღნიშნა თოფაძემ.

◎ რა გვეშველება ამათ ხელში!

„აფბას“ თავმჯდომარე შოთა გულბანი აცხადებს, რომ „აფბამ“ ქართულ ბაზარზე მედიკამენტების ფასებზე დაკვირვების უნივერსალური მეთოდი შეიმუშავა.

მედიკამენტების ფასების ინდექსის გაანგარიშებასთან დაკავშირებით, – ამბობს ბატონი შოთა, – გამოვიყენეთ ელემენტარული არითმეტიკული მეთოდი. აქ მთავარია შინაარსი, რა დადებითი მხარეც ამ ინდექსს აქვს. მას ფანასკერტელის ინდექსი დავარქვით. მოგეხსენებათ, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა, მე-15 საუკუნის ამ ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა და მეცნიერმა, სამკურნალო წიგნის „კარაბადინის“ ავტორმა, დიდი ღვაწლი დასდო ქართული მედიცინის განვითარებას. ჩვენი ინსპირაციაც ეს იყო, როცა ვფიქრობდით იმ ინდექსის სახელზე, რომელმაც ფასზე დაკვირვებით უნდა გამოიკვლიოს, თუ როგორი ტენდენციაა თვიდან თვემდე, იკლებს ფასები მედიკამენტების ბაზარზე თუ იმატებს, ანუ ერთ კონკრეტულ ციფრზე, ფანასკერტელის ინდექსზე დაკვირვებით, ჩვენ ვაპირებთ საზოგადოებას ყოველთვიური ინფორმაცია მივაწოდოთ, რა მდგომარეობაა მედიკამენტების ბაზარზე. დავუშვათ, შემოვიდა რომელიღაც ახალი კომპანია, როგორ შეიცვალა ვითარება.

ზაზა ფანასკერტელი მიიჩნევდა, რომ ავადმყოფისთვის განსაკუთრებულად საჭიროა ზუსტ ცოდნაზე აგებული მკურნალობის რაციონალური მეთოდის გამოყენება, მაგრამ რომელ რაციონალურ მეთოდზეა საუბარი, როცა საქართველოში შემოდის უხარისხო ინდური წამლები? ფარმაცევტები ამბობენ, რომ შესაძლოა, მედიკამენტები დასავლეთიდანაც შემოდიოდეს, მაგრამ ეს გათვლილია ხელმოკლე მომხმარებლისთვის და ძვირად ღირებული წამლებისგან რადიკალურად განსხვავდება.

– ფარმაცევტულ ბაზარზე ფასებისა და ხარისხის პრობლემის შესახებ კარგა ხანია, ცნობილია. მედიკამენტების ხარისხი ჩვენი ინდექსის დაანგარიშებას ხელს არ უშლის. მაგალითად, ჩვენ დავიანგარიშეთ და გამოვიკვლიეთ 200 დასახელების მედიკამენტი, რომელიც ჩვენს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადია. აქედან 70 არის ორიგინალი, ხოლო დანარჩენი არის ამ 70-ის შემცვლელი წამალი, ანუ ე.წ. ჯენერიკები. თუ პაციენტი ორიგინალს არ ყიდულობს, მაშინ „ჯენერიკით“ კმაყოფიდება. „ჯენერიკებთან“ დაკავშირებით კი ხშირად ისმის საზოგადოების მითქმა-მოთქმა, რომ ჯანმრთელობისთვის კარგი არ არის. რეალურად, სამედიცინო სფეროს ექსპერტებს თუ დავუჯერებთ, „ჯენერიკიც“ ჩვეულებრივად მოქმედებს. რაც შეეხება ინდოეთიდან თუ სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულ უხარისხო წამალს, ამას სერიოზული, ლაბორატორიული დასკვნა სჭირდება. ჩვენ კი უფრო ეკონომიკური ინდექსის მიმართულებით მივდივართ და წამლების ხარისხს ჯერ არ ვუღრმავდებით.

აკი 2-3-პროცენტიანი მოგებითღა ვკმაყოფილდებითო?!

სინამდვილეში კი საბაჟოზე გადმოსულ სამედიცინო პრეპარატებსა და აფთიაქში დაწესებულ ფასს შორის თურმე დაახლოებით 300%-იანი სხვაობაა!

– შარშან ზაფხულში ხელისუფლება დაგვპირდა, რომ შემოდგომიდან მედიკამენტების გაიაფება დაიწყებოდა. მოგვიანებით პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემაც განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გარკვეულ პრეპარატებზე ფასები დაიწევდა, თუმცა ექსპერტები მაშინვე ამბობდნენ, რომ წამალი იაფი არასდროს იქნებოდა. ფასების კლების ტენდენციაზე რას იტყვით?

– ყოველ შემთხვევაში, ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების კლების ტენდენცია მე არ შემიმჩნევია. პირიქით, ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე საკმაოდ რთული ვითარებაა. ჩამოყალიბებულია რამდენიმე მმართველი კომპანია, რომლებიც ერთნაირად განსაზღვრავენ საფასო პოლიტიკას.

ზუსტად ამის გამო საუბრობენ კარტელურ გარიგებებსა და მონოპოლიაზე.

– კი ბატონო, არსებობს ამის საფუძვლიანი ეჭვი. ჩვენ გვაქვს სერიოზული კვლევა განხორციელებული, რომლითაც ვაჩვენეთ, რომ **საბაჟოზე გადმოსულ პრეპარატებსა და აქ დაწესებულ ფასს შორის დაახლოებით 300%-იანი სხვაობაა. ანუ 300%-იანი ფასნამატით იყიდება ქართულ ბაზარზე პრეპარატები.** ეს კოლოსალურად დიდი ფასნამატია და ელემენტარული უსამართლობაა იმ სოციალური ფონიდან გამომდინარე, რაც ჩვენს ქვეყანაშია. მოგეხსენებათ, მარტო მილიონნახევარი ადამიანი სოციალური დახმარების მიმღებადაა დარეგისტრირებული. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ნახევარი მოსახლეობა გაჭირვებულია.

– თუკი შესრულდება ხელისუფლების დაპირება მედიკამენტების გაიაფებასთან დაკავშირებით, ხომ არ გაჩნდება იმის ალბათობა, რომ უფრო მეტი გაურკვეველი ხარისხის წამალი შემოვა საქართველოში, რითაც ისედაც „განებივრებული“ ვართ?

– სწორად აღნიშნეთ, დღეს ისედაც შემოდის ძალიან ბევრი გაურკვეველი წარმოშობის მედიკამენტი, რომელიც თავისუფლადაა მიმოქცევაში. საუბრობენ იმაზეც, რომ მედიკოსთა ნაწილი შეკრულია ამ კომპანიებთან და წამლების გასაღებაში მონაწილეობს. ეს ეჭვიც ლოგიკურია, რადგან კერძო ფარმაცევტულ კომპანიებს აქვთ კლინიკაც, რომელთაც აქვთ სადისტრიბუციო ქსელი, ჰყავთ თავიანთი ექიმები. ცხადია, ექიმი, რომელიც ზის ამ კომპანიაში და საწარმოო ქსელიც აქვს, პაციენტს ეტყვის, აქ წადი, ეს წამალი შეიძინე. ეს ხომ მისი კომპანიისთვის მომგებიანია. ასეთი რამ საქართველოში ხდება.

– ექიმის კლინიკური ავტონომიის შენარჩუნებისთვის ევროგაერთიანებამ და ამერიკამ შემოიღეს ე.წ. სანშაინ აქტი, რაც ითვალისწინებს ინფორმაციის გასაჯაროებას, თუ რამდენ თანხას იღებს კონკრეტული ექიმი ფარმაცევტული ინდუსტრიისგან, ანუ რამდენად არის დამოკიდებული ფარმაცევტულ კომპანიაზე.

– ჩვენ ასეთი გამჭვირვალე სისტემა არ გვაქვს, განსხვავებით, ამერიკისგან. ჩვენთან ოლიგოპოლიები მოქმედებს. თუმცა სასურველია „სანშაინ აქტის“ მიღება, რაც გაჭირდება, რადგან ამას სერიოზული ლობი შეაფერხებს. გამჭვირვალობა ჩვენს სააფთიაქო ქსელებს ნამდვილად არ ახასიათებთ. თუნდაც იმავე წამლების არსებულ ფასებთან დაკავშირებით რომ მისწეროთ წერილი, რომ კვლევისთვის გჭირდებათ ინფორმაცია, ისინი ან არაკეთილსინდისიერად შეუსაბამო ფასებს მოგწერენ, ან ყოველთვე მოგწერენ ერთსა და იმავე ფასებს, რათა არ შეიცვალოს სურათი, ან საერთოდ არაფერს გეტყვიან, რადგან ეს დახურული სისტემაა.

– მაშინ ზაზა ფანასკერტელის ინდექსის ფარგლებში ინფორმაციას როგორ მოიპოვებთ?

– კვლევებს ვატარებთ ინკოგნიტოდ, როგორც აფთიაქებში გამოკითხვის მეთოდით, ისე სატელეფონო ზარების მეშვეობით.

– თქვენს ინიციატივას ჯანდაცვის სამინისტრო როგორ შეხვდა?

– დარწმუნებული ვართ, დადებითად შეხვდება. ისეთ სამუშაოს ვატარებთ, რაც ჯანდაცვის სამინისტროსაც გაუიოლებს ინდექსზე თვალყურის დევნებას.

მანანა ნოზაძე

რედაქციისგან: მკითხველთა დიდ ნაწილს, ალბათ, ეხსომება, რომ ჯერ კიდევ მანამ, სანამ 2012 წლის ოქტომბერში არჩეული პარლამენტი ახალ მთავრობას და პრემიერ-მინისტრს დაამტკიცებდა, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა, სადაც, ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, მედიკამენტების საოცარ სიძვირეზეც იყო კრიტიკული განსჯა.

ამას მაშინ „ავერსის“ გენერალური დირექტორი პაატა კურტანიძე კატეგორიულად არ დაეთანხმა და თქვა, რამდენიმე ასეულპროცენტიან კი არა, სულ 2-3-პროცენტიან მოგებაზელა ვმუშაობთო.

ამას კი ამტკიცებდა ბატონი პაატა, მაგრამ ჩვენ, მომხმარებლებს, ხომ კარგად გვახსოვს, რამდენი ღირდა ესა თუ ის მედიკამენტი 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნებამდე და რაოდენ კატასტროფულად დაიწყო მათი გაძვირება იმ არჩევნების ნაციონალთა სასარგებლოდ ჩამთავრების შემდეგ (ამის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მკითხველი, ალბათ, უჩვენოდაც მიხვდება. ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებთ)...

ამ დღეებში ტელევიზიით გადაიცა სიუჟეტი, რომ მალე ჩვენთან ამოქმედდება ახალი ფარმაცევტული ფირმა, რომელიც ბევრად იაფად გაყიდის სამკურნალწამლო საშუალებებს.

ბატონმა პაატამ ამ გადაცემაშიც განაცხადა, საზღვარგარეთიდან შემოტანილ პრეპარატებზე ჩვენ არანაირ დიდ ფასდანამატს არ ვაწესებთ, ეს მონაჭორი და ტყუილია, და მხოლოდ 2-3-პროცენტიან მოგებასლა ვჯერდებითო.

ამჟამად არ ვაპირებთ საკითხში ჩაღრმავებას და ერთ მაგალითსღა დავასახელებთ:

ჩვენს ერთ ახლობელს, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულს, სამკურნალოდ გამოუწერეს პრეპარატი „ავასტინი“, რომელიც თვეების განმავლობაში უნდა მიეღო და რომლის ფასის გაგებამაც იგი, ვგონებთ, კიდევ უფრო დაასნებოვნა – ერთჯერადი ინიექცია 8000 ლარი ჯდებოდა.

მან მოსკოვში დარეკა ახლობელთან და სთხოვა მას, გაეგო, თუ რა ღირდა იქ ეს პრეპარატი.

– ამჟამინდელი კურსით ეს წამალი აძ 1800 დოლარი ღირს, მაგრამ მას ვერ გამოგიგზავნით, რადგან ტრანსპორტირების სპეციალურ პირობებს მოითხოვსო, – უპასუხეს.

ის ჩვენი ახლობელი ამის მერე საქართველოში ამ პრეპარატის მწარმოებელ ფირმა „როშის“ წარმომადგენელს დაუკავშირდა და დაინტერესდა, რატომ ღირდა ჩვენთან „ავასტინი“ მოსკოვში მის გასაყიდ ფასზე ორჯერ ძვირი.

მან უპასუხა, ჩვენი ფირმა ამაში არ ერევა, სარეალიზაციო ფასის დადგენა დისტრიბუტორების – „ავერსისა“ და „პე-ეს-პეს“ პრეროგატივაო.

თუნდაც მხოლოდ ამ ერთი მაგალითის მოხმობით გეკითხებით, ბატონო პაატა, ეს არის ოდენ 2-3-პროცენტიანი მოგებით მუშაობა?

ამაზე და რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან საკითხზეც გვინდოდა თქვენთან ინტერვიუ, მაგრამ თქვენი პრესსამსახურის მეშვეობით ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. თუ გსურთ, ჩვენი შეთავაზება კვლავაც ძალაშია და „სრ“ ჟურნალისტი თქვენთვის მოსახერხებელ დროს შეგხვდებათ ინტერვიუსთვის. ანაც, თუ გნებავთ, საკუთარი მასალით გაგვარკვიეთ საქმის ვითარებაში.

ველით თქვენს გამოხმაურებას!

◎ დედაქალაქის მომავალი

„ახალი ტფილისი“ – სუპერთანამედროვე რაიონი

პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, 2016 წლის ბოლოს თბილისში გვექნება განახლებული რაიონი, ახალი საფეხმავლო სივრცეებით, კაფე-ბარებით და ლამაზი ბაღებით. ამის შესახებ პრემიერმა თბილისის მერიის ახალი პროექტის „ახალი ტფილისის“ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, პროექტში ჩართულია 200-ზე მეტი პროფესიონალი და შემდგომ კიდევ უფრო მეტი – არქიტექტორი, ისტორიკოსი, რესტავრატორი, ურბანისტი და ხელოვნებათმცოდნე ჩაერთვება.

მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში მოხდება არა მხოლოდ ფასადების აღდგენა, არამედ განახლდება საინჟინრო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. პრემიერი მიიჩნევს, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვნად გაზრდის უძრავი ქონების ფასებს თბილისში.

„მოგეხსენებათ, რომ თბილისი ყოველ-

თვის გამოირჩეოდა იმით, რომ იყო სხვადასხვა ეროვნების, კულტურის ხალხთა ერთად ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტი. ეს უნდა შევინარჩუნოთ და განვავითაროთ მომავალში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პროექტი იმ ვადებში დამთავრდეს, რაზეც დღეს არის საუბარი და ეს არის 2016 წლის ბოლო“, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, იმას, რომ ყველა აღდგენილ შენობაზე გამოკრული იქნება კალენდარი, თუ რა ვადაში დამთავრდება თითოეული შენობა.

„ყველამ ერთად ეს ქვეყანა უნდა ავაგუგუნოთ და დღეს აქ აღმაშენებლის გამზირზე იწყება ეს პროცესი“, – დასძინა კვირიკაშვილმა.

პროექტის „ახალი ტფილისი“ პირველი ეტაპის ფარგლებში, დავით აღმაშენებლის გამზირის, კერძოდ, აღმაშენებლის მოედნიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე, მშრალი ხიდისა და ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია განხორციელდება, ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ პროექტის პრეზენტაციაზე განაცხადა.

აღნიშნულ არეალში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 47 საცხოვრებელ სახლს, სადაც უმეტესწილად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, სრული რეაბილიტაცია, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდება.

„ქუჩაზე მთლიანად შეიცვლება საინჟინრო და საკომუნიკაციო ქსელები, მოეწყობა ინფრასტრუქტურა, გამაგრდება და პირვანდელი სახით აღდგება ისტორიული შენობა -ნაგებობები, განახლდება გამზირის იერსახე – საფეხმავლო და სამანქანო სავალი ნაწილის საფარი, მოეწყობა გადასასვლელები, მოპირკეთდება ქუჩა, დამონტაჟდება ახალი განათების სისტემა და მანიშნებლები, გამწვანდება ტერიტორია“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისი განცხადებით, აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შემდეგ ტერიტორია სრულად ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

რეაბილიტაციის შედეგად, დავით აღმაშენებლის გამზირის აღნიშნულ არეალში მცხოვრებ მოსახლეობას საგრძნობლად გაუუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები.

მერის თქმით, პროექტის განხორციელება გამოიწვევს ტურისტული ნაკადების ზრდას, რაც ქალაქის ეკონომიკური სიძლიერის გარანტია.

პროექტის „ახალი ტფილისის“ განხორციელების ამ ეტაპზე 800-მდე ადამიანი დასაქმდება. მოსახლეობას საგრძნობლად გაუუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შედეგად, მათი სოციალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

„მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს, ვისაც მცირეოდენი წვლილი მაინც აქვს შეტანილი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებაში. წარმატებები ვუსურვო როგორც ქვეყნისა და დედაქალაქის მთავრობას, თბილისის განვითარების ფონდს, ასევე, თითოეულ თბილისელს აღნიშნული პროექტის განხორციელებაში“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

პროექტი „ახალი ტფილისის“ ფარგლებში მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაც იგეგმება. კეთილმოეწყობა 9 მარტისა და დედა ენის სახელობის ბაღები და მიმდებარე ტერიტორია; აღნიშნულ ბაღებს შორის მოეწყობა მიწისქვეშა საფეხმავლო გადასასვლელი – გალერეა; მოეწყობა სავაჭრო დახლები, ტერასა.

პროექტი „ახალი ტფილისი“ რამდენიმე ეტაპისგან შედგება.

უკვე მიმდინარეობს ღვინის აღმართისა და გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რესტავრაცია-რეაბილიტაცია.

◎ ამბის ბოლოსიტყვაობა



რატომ ეჩხირება ყელში პანკისი ლავროვს?..

ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისის მისამართით სერიოზული ბრალდება გაისმა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ რაზმელები პანკისის ხეობას თითქოს საწვრთნელად იყენებენ. ლავროვის სიტყვებით, „ტერორისტული საფრთხე პანკისის ხეობაში არ გამქრალა“. „ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს წევრები ამ ძნელად მისადგომ ტერიტორიას იყენებენ იმისთვის, რომ იქ ივარჯიშონ, დაისვენონ და შეივსონ თავიანთი მარაგი“, – თქვა ლავროვმა მოსკოვში პრესკონფერენციაზე. ამასთან ერთად, ლავროვმა შეგვახსენა, რომ რუსეთმა უარი თქვა საქართველოსთან უვიზო რეჟიმზე, „უფრო მეტად იმიტომ, რომ პანკისის ხეობიდან ტერორისტული საფრთხე არ გამქრალა“.

რა უპასუხა საქართველომ? ბუნებრივია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უმალვე უარყო ეს მტკიცება. **„პანკისში სრული სიმშვიდეა. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ არანაირი ტერორისტული დაჯგუფება იქ არ გადის წვრთნას“,** – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი უარყოფა გაისმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისგან. „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები მთლიანად აკონტროლებენ სიტუაციას პანკისში. რაც შეეხება პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, იგი მუდმივად უთმობს ყურადღებას ამ საკითხს. რასაკვირველია, ეს ყურადღება სამართალდამცავებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან არც სამომავლოდ შესუსტდება“, – მტკიცედ დაგვარწმუნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა.

სხვათა შორის, დაარწმუნა თუ არა რუსეთის მხარე ქართველ ოფიციალურ პირთა ასეთმა ავტორიტეტულმა განცხადებებმა – ძნელი სათქმელია, რუსეთში, საქართველოშიც კი, ხომ შესანიშნავად ახსოვთ, თუ როგორი აღგზნებით უარყვეს 2001 წელს მაღალი თანამდებობის ქართველმა ჩინებმა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რუსლან გელაევის რაზმელთა გუნდი 500 კაცის შემადგენლობით როგორ იშუშებს ჭრილობებს პანკისის ხეობაში და რამდენიმე წლის შემდეგ იგივე „ჩინები“ როგორი მჭევრმეტყველებით იხსენებდნენ დაწერდნენ მასმედიაში „გელაეველების“ საქართველოში მრავალი თვის ყოფნის უკვე ფაქტობრივ ისტორიას და მათს შემდგომ „ლაშქრობას“ აფხაზეთში, რაც როგორც ცნობილია, ამ ჩეჩნური დაჯგუფების განადგურებით დამთავრდა. არადა, სხვათა შორის, საუბარი შეეხებოდა თავად გელაევს, რომელმაც აფხაზეთში ომის დროს (1992-1993 წლებში) პირადად გამოსჭრა ყელი 24 ტყვე ქართველს, როდესაც მისმა ამხანაგებმა უარი თქვეს იმათ დახვრეტაზე.

ეტყობა, როდესაც მიხვდნენ თავიანთი სიტყვიერი დარწმუნების მერყეობას, თბილისში პრეზიდენტის სასახლეში გადწყვიტეს მეტი მნიშვნელობის მისანიჭებლად მოეფიქრებინათ რაღაც არაორდინარული და... მოაწყვეს თავად მარგველაშვილის, აგრეთვე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის იან კელის და ევროკავშირის სხვა ელჩების ერთდღიანი „ექსკურსია“ პანკისის ხეობაში. შესანიშნავია! განა ტყუილა ამბობენ: ჯობია ერთხელ იხილო, ვიდრე ასჯერ მოისმინოო! მაგრამ ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: თუ „ექსკურსიის“ მიზანი იყო, დაერწმუნებინათ მსოფლიოს საზოგადოებრიობა იმაში, რომ პანკისში არ არიან რაზმელები, „ექსკურსანტებს“ შორის რატომ არ აღმოჩნდა არც ერთი წარმომადგენელი რუსეთის მხრიდან? ეჭვს იმის შესახებ, რომ პანკისში არის ტერორისტების ბაზა, განა არ გამოთქვამდა სწორედ რუსეთი, და არა ამერიკა ევროკავშირთან ერთად, განა უფრო გონივრული არ იქნებოდა ეჩვენებინათ „საქონელი შნოიანად“ სწორედ ვინმესთვის ოფიციალური რუსეთელებიდან და არა მხოლოდ დასავლელი მოკავშირეებისთვის? მადლობა ღმერთს, საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არის ასეთი ინსტიტუტი – რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექცია.

მაგრამ, ვაი რომ...

როგორც უნდა იყოს, გამგზავრება შედგა. და წარმოიდგინეთ, მთელი თავისი მოგზაურობის განმავლობაში არც პრეზიდენტს, არც მის თანმხლებ პირებს არ უნახავთ პანკისში არც ერთი „ბოევიკი“, მით უმეტეს – ტერორისტი. როგორ არ ათვალიერებდნენ „ძნელად მისადგომ ტერიტორიას“ სტუმრები თავიანთი ავტომობილების ფანჯრებიდან.

– არსად! რაიონის უხუცესებთან შეხვედრაზეც კი სოფელ დუისში, რაც, სხვათა შორის, წინასწარ იყო გამოცხადებული, არც ერთი იმათგანი არ მივიდა. დიახ, ცდებოდა, ეტყობა, სერგეი ლავროვი. ან არასწორად მოახდინეს მისი ინფორმირება. „თქვენი თვალებით შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ როგორი სიმშვიდეა აქ“, – თქვა გიორგი მარგველაშვილმა, როდესაც ელჩებსა და ჟურნალისტებს მიმართავდა.

ხეობის ერთ-ერთმა უხუცესმა დუისში შეხვედრის დროს საყვედურითაც კი თქვა: „ჩვენთან რეგიონში არაფერი ისეთი არ ხდება, რაზეც ბატონი ლავროვი ლაპარაკობდა!“

„იქნებ მოვიწვიოთ ის აქ, რომ თავად დარწმუნდეს“? – გამოეხმაურა მას გიორგი მარგველაშვილი.

წერტილი კი მთელ ამ ისტორიას, როგორც მოსალოდნელი იყო, დაუსვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში: **„არაერთგზის აღმინიშნავს, რომ პანკისში არ არის ტერორისტული ბაზა“,** – კატეგორიულად და გადაჭრით განაცხადა ბატონმა იან კელიმ.

ჰოდა, მადლობა ღმერთს!

ერთი სიტყვით, ბაღდადში, ის კი არა პანკისში, სრული სიმშვიდეა.

გვრჩება, ვუპასუხოთ, მხოლოდ ერთ, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის შეკითხვას: **დაკმაყოფილდება კი განა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ბატონი კელისა და კომპანიის დამოწმებით?**

ვადიმ ანასტასიადი

◎ ენერგობაზარი

გაზი: მოგებული თუ მაცოცხლებელი...

ძვეძანაში ენერგეტიკის სფეროს დივერსიფიკაციაზე მიმართული საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი ძალისხმევა, როგორც პოლიტიკური საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა, ასევე ეკონომიკურად დაინტერესებული სუბიექტის, კერძოდ, აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიის საქართველოს ფილიალის „სოკარ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის კრიტიკის საგნადაა ქცეული.

რაც შეეხება პოლიტიკურ ოპონენტებს, გარკვეულწილად „დაჩრდილული“ ინტერესების არსებობასაც რომ დავანებოთ თავი, მათი მიზანი სავსებით ნათელია და მისი გაშიფვრა დიდ ტვინის ჭყლეტას არ საჭიროებს: ესაა მოწინააღმდეგის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. ამას, კონკრეტულად, ნათლად წარმოაჩენს მოთხოვნა რუსეთულ „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებათა დეტალების გასაჯაროებაზე. თუ რაოდენ აბსურდულია ეს „მოთხოვნა“ ახლანდელმა მეტ-ნაკლებად გონიერმა საშუალო სკოლის საშუალო კლასის მოსწავლემაც იცის. ეს გახლავთ საჯაროდ

გამოთქმული პრეტენზიების ერთი კონტრარგუმენტი. მეორეს არსი ერთგვარი ისტორიული ექსკურსის ხასიათისაა: ენერგეტიკის სფეროში რუსეთთან ინტენსიური საქმიანი ურთიერთობები ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას თავადაც წლების მანძილზე ჰქონდა, რომელთა დეტალები ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია. მესამე გარემოება ის გახლავთ, რომ მთავრობასა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკების ყველაზე მთავარი ასპექტი ენერგეტიკის მინისტრმა **კახი კალაძემ** გაასაჯაროვა: **„მოთხოვნა ის არის, რომ შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები — კერძოდ, გადავიდეთ ფულად ანაზღაურებაზე: ქვეყნის ტერიტორიის გავლით გაზის გატარების საფასურად მისი მოცულობის 10 პროცენტის მიღების მაგივრად, „გაზპრომმა“ საქართველოს ფული გადაუხადოს“. თანაც ისიც დასძინა, რომ ჯერჯერობით შეთანხმება მიღწეული არ არის, ხოლო როცა კონკრეტული შედეგი დადგება, ამის თაობაზე საზოგადოებას უმალ ეცნობება.**

ამასვე ადასტურებს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი **რევაზ არველაძე,** რომელიც თან დასძენს, რომ რუსეთი საქართველოს ამას წლების წინათაც სთავაზობდა — სომხეთის მიმრთულებით გატარებული გაზის 10 პროცენტის სანაცვლოდ ფული გადაეხადა, თუმცა კი ქართული მხარე ამას არ თანხმდებოდა.

— ოპონენტები კი მუდამ ხელისუფლების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას ცდილობენ, ამდენად მათ კრიტიკულ გამოსვლებში დიდი არსის ძებნა არ ღირს, — განაცხადა ბატონმა რევაზმა ექსკლუზიურ ინტერვიუში. — საერთოდ კი, ტრანზიტის საფასურის ნატურით აღება და შემდგომ მისი საკუთარი საჭიროებისამებრ გამოყენება გაცილებით ხელსაყრელია. პირადად ჩემთვის რამდენიმე კონკრეტული გარემოებაა გაურკვეველი, მათ შორის, თუ რატომაა, რომ მოლაპარაკებები რატომღაც მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებაზეა.

მეოთხე გარემოება, რომელიც საქართველოს ბუნებრივი გაზით მომარაგების დივერსიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს, ესაა წლების მანძილზე აღნიშნულ ბაზარზე აზერბაიჯანული „სოკარის“ მონოპოლიური პოზიციის ერთგვარად საპირწონე ვარიანტის გაჩენა, რასაც ის დიდი ხნის განმავლობაში სასტიკად ეწინააღმდეგება, როგორც ვხედავთ, საკმაოდ წარმატებითაც.

ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო განცხადებას აკეთებენ საქართველოს ახალგაზრდა ფინანსთა და ეკონომისტთა ასოციაციაში და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „სოკარ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი **მაირ მამედოვი,** ფაქტობრივად, უპირისპირდება საქართველოს მთავრობას ამ საკითხში. ასოციაციის ექსპერტები იმაზე ლაპარაკობენ, რომ ქვეყნის ბუნებრივი გაზით მომარაგების დივერსიფიკაციის აუცილებლობას თავად საქართველოს ხელისუფლებისა და „სოკარის“ თანამშრომლობის ბოლო წლების ისტორია მოწმობს. საქმე ის არის, რომ არსებობს იმის უამრავი პრეცედენტი, როცა საქართველოში დომინირებული პოზიციების მქონე „სოკარი“ თავის მდგომარეობას არა მარტო ბუნებრივი გაზის, არამედ საწვავის ბაზარზეც ფასწარმოქმნის საკითხში არაკეთილსინდისიერად იყენებდა. კონკრეტულად კი, ლაპარაკია ავტოგაზის ფასის კონკურენტი კომპანიებისთვის მომატებაზე, საკუთარში კი მის დაწევაზე. არადა, ისევე, როგორც ბუნებრივი გაზის, ასევე, დიზელის ქართულ ბაზარზე მონოპოლისტი სწორედ რომ „სოკარია“, რომელიც ფასების დაწევის დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაში, „სოკარ ჯორჯიას“ თავკაცის მაირ მამედოვის პირით, ქვეყანაში დეფიციტის შექმნით იმუქრებოდა! იმავე გზას ადგას „სოკარი“, როცა საქმე საქართველოში დაბალფასიანი, კერძოდ, თურქმენული ბენზინის შემოტანაზე იწყება — ჩვენში მისი დესპანი მაირ მამედოვი იმწამსვე აზერბაიჯანული გაზის მოწოდების ოდენობისა და ფასის „გადახედვის“ სრულიად გასაგებ „მინიშნებას“ აკეთებს, თუმცა, ყველაფერს თავის სახელი რომ დავარქვათ, ამას სრულიად აშკარა მუქარა ჰქვია!

ამ საკითხის უფრო მეტად თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად და, მთელი რიგი უარყოფითი პოლიტიკური ასპექტის არსებობის გათვალისწინებით, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებათა აუცილებლობაზე რამდენიმე გარემოების შესახებ მოგახსენებთ. სადღეისოდ საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარების კომერციულ სეგმენტში, ენერგოშემცვლელის მოწოდება, ძირითადად, მცირე, 3-6-თვიანი კონტრაქტებით ხორციელდება და თუმცა კონკრეტული ფასები კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს, 1000 კუბური მეტრი გაზის ფასი დაახლოებით350 დოლარის ფარგლებშია. მისი მომხმარებლები კი ავტოგასამართი სადგურებია... დანარჩენზე, ვფიქრობთ, ლაპარაკის დაწყებაც არ ღირს. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ იგივე მოცულობის გაზს უკრაინა რუსეთისგან... 230 დოლარადაც არ იღებს და ფასის დაწევას ითხოვს! მეტიც: როცა ბარელი ნედლი ნავთობი 110 დოლარი, ხოლო მასზე მიბმული გაზის ფასი 450 დოლარი იყო, ახლა ბარელი 40 დოლარზე ნაკლები ღირს, თითქმის სამჯერ შემცირდა, მაშ, აქვე, „ყურის ძირიდან“ კეთილი მეზობლის მოწოდებული გაზის ამხელა ფასი რაღა უბედურებაა?

თუმცა კი ეგეცაა, რომ კეთილმეზობლობა აქ არაფერ შუაშია, რადგან თავისუფალ ბაზარს თავისი დაუნდობელი კანონები აქვს, ამიტომაც მდგომარეობის ნებისმიერი ბატონ-პატრონი თავისი ძალაუფლებით სარგებლობს, შესაბამისად, ფასსაც ის აწესებს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა, რომლის პიკი, ისევე, როგორც აზერბაიჯანში, წლის ცივ დროზე მოდის. ამ შემთხვევაში საქმე, თვალის ერთი გადავლებით, პარადოქსულ გარემოებასთან გვაქვს: აზერბაიჯანი ყოველწლიურად 29 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს მოიპოვებს, თავად კი მხოლოდ დაახლოებით 12 მილიარდს მოიხმარს, კიდევ 8 მილიარდ კუბურ მეტრს ნავთობის მოსაპოვებლად ტექნიკური მიზნით იყენებს, დანარჩენი ან ჰაერში იპარება, ან იწვება. ამდენად, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ზამთარში, ხარჯვის პიკის დროს, აზერბაიჯანში ბუნებრივი გაზის... დეფიციტიც კი წარმოიშვება, რომელსაც იგი... რუსეთიდან შესყიდვით ავსებს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ თავად ნაკლებ ფასად ყიდულობს, ჩვენ კი გაცილებით ძვირად გვაწვდის! ჰოდა, აბა, განა „პირველ ხელზე“ პირდაპირ გასვლა ჩვენთვის უფრო ხეირის მომტანი არ იქნება?

აი, ზოგადად, იმის რამდენიმე შტრიხი, თუ რატომაა საქართველოს მთავრობის ამჟამინდელი პოლიტიკა ბუნებრივი გაზით ქვეყნის მომარაგების მხრივ მეტად გონივრული და წინდახედული. ამიტომაც, ვფიქრობთ, ამის გამო ჭარბი, არაჯანსაღი აჟიოტაჟის ატეხა არანაირად საჭირო არ არის.

ოთარ ტურაბელიძე

◎ თბილისის ეკოლოგიისთვის ეს მთავარი პრობლემაა

მერია ტაქსების და ტაქსისტების აღრიცხვას შეუდგება

ტაქსების საკითხის მოწესრიგება დედაქალაქის ყველა მერს ჰქონდა გულში ამოჭრილი, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერც ერთი ვერ ბედავდა. ამასობაში, ამ მიმართულებით ვითარება დამძიმდა და ის, რაც ერთ დროს მტკივნეული თემა იყო, ახლა გადაუდებლად მოსაგვარებელი გახდა.

თბილისში ამჟამად, დაახლოებით, 40 000 ტაქსი მოძრაობს. მათი ოდენობა დაზუსტებული არ არის. ასევე არ არსებობს ინფორმაცია მანქანების ტექნიკური გამართულობის შესახებ, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით გარკვეულ პრობლემას ქმნის.

კერძო სატრანსპორტო საშუალებით მგზავრების გადაყვანის საკითხს საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქმიანობის დასაწყებად ადამიანს საჭიროა ჰქონდეს მხოლოდ მანქანა და ტაქსის ტრაფარეტი.

დედაქალაქის ვიცე-მერის ირაკლი ლექვინაძის ინფორმაციით, სფერო აბსოლუტური რეგულაციის გარეშეა და ამიტომაც მგზავრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რეგისტრაციის პროცესის დაწყება იგეგმება.

„უნდა ვიცოდეთ, რა ავტომობილი მოძრაობს და ვინ არის მეპატრონე. ჯერჯერობით ლიცენზიის საკითხი არ განიხილება. ტაქსების რაოდენობა არ შეიზღუდება. ესაა პროცესი, რომელმაც აღრიცხვიანობა უნდა მოგვცეს. ტაქსით მოძრავ ადამიანებს ცხოვრება არ გაურთულდებათ და გაუძვირდებათ“, — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

ზოგადად კი თბილისის მერია სატრანსპორტო საკითხებს წელს დიდ ყურადღებას დაუთმობს. მაგალითად, ავტობუსებზე ტენდერი გამოცხადებულია და მასში მონაწილეობის სურვილი რამდენიმე უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა. აგვისტოდან სექტემბრამდე ახალი, უსაფრთხო ავტობუსების პირველ ნაწილი შემოვა თბილისში.

ლექვინაძემ თბილისის საცობებისგან განტვირთვის გეგმაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საცობების პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს კრწანისი-შინდისის მონაკვეთის მშენებლობა, რითაც თბილისის ცენტრიდან გარკვეული ნაკადების გადასროლა მოხდება.

„გვაქვს ნ-პუნქტიანი გეგმა, სადაც 2016 წელს განსახორციელებელი პროექტებია მოცემული, რომლებიც მოძრაობას მნიშვნელოვნად განტვირთავს“.

სატაქსო რეგულაციების შესახებ ორიოდე დღის წინათ თბილისის მერიაში შეხვედრაც გაიმართა, სადაც საუბარი შეეხო სატრანსპორტო მომსახურების სფეროში არსებულ ვითარებასა და პრობლემებს. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა ტაქსის კომპანიების წარმომადგენლებს თავიანთი წინადადებები გაცნეს და მათი მოსაზრებები მოისმინეს.

„ყველანი ვთანხმდებით, რომ მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ეს სფერო მოსაწესრიგებელია თუნდაც უსაფრთხოების მიმართულებით. გვინდა შევიმუშავოთ ისეთი სქემა, რომელიც მინიმალური ჩარევით, ეტაპობრივად, გარკვეულ რეგულაციაში მოაქცევს ამ საკითხს“, — განაცხადა ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ტაქსის მძღოლებისათვის აღნიშნული საქმიანობა ხშირად შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს და შესაბამისად, საკითხის გარკვეულ რეგულაციაში მოქცევისას, მათი ინტერესები მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ტრანსპორტის მომსახურების სფეროს მოწესრიგებას აუცილებლად მიიჩნევს საკრებულოს წევრი შალვა ოგბაიძე. მისი თქმით, ამ საკითხის დარეგულირება ერთ-ერთი პირობაა, რომლის შესრულებასაც თბილისის მერია მოქალაქეებს დაჰპირდა.

გეძა დანელია

◎ ინფორმაცია

ეგვიპტე საქართველოდან იმპორტით დაინტერესდა

უწყების ინფორმაციით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ეგვიპტის სოფლის მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს ვეტერინარული მომსახურების გენერალური ორგანიზაციიდან მაღალი რანგის წარმომადგენლები სტუმრობენ. ეგვიპტის დელეგაციის ვიზიტის მიზანი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოდან ცოცხალი საქონლის და ხორცპროდუქტების იმპორტთან დაკავშირებული ვეტერინარული პროცედურების შეთანხმება და ეპიდემიოლოგიური ვითარების გაცნობაა. დელეგაციის წევრებმა ქართველ კოლეგებთან ერთად დაათვალიერეს მეფრინველეობის ფაბრიკები და საქართველოში მოქმედი სასაკლაოები, სადაც ცხოველთა დაკვლა ჰალალის წესით წარმოებს. სტუმრებს გააცნეს ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის მიხეილ სოხაძის განცხადებით, არაბული ქვეყნების დაინტერესება საქართველოდან ცოცხალი ცხოველების და ხორცპროდუქტების იმპორტით მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა და საქართველოს როგორც კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯმა.

◎ ურთიერთდაშინების პოლიტიკა

რუსეთმა სპეციალური წვრთნები სამაჩაბლოშიც დაიწყო

რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების ქვედანაყოფების მონაწილეობით, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე საველე სწავლება დაიწყო. გარდა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა, საველე მეცადინეობა მიმდინარეობს სამხრეთის სამხედრო ოლქის კიდევ 6 პოლიგონზე, რომელიც ყირიმში, ჩრდილოეთ ოსეთსა და სომხეთში მდებარეობს. აღნიშნულ საველე სწავლებაში 1500-ზე მეტი სამხედრო და შეიარაღების 350-ზე მეტი ერთეულია ჩართული.

შეგახსენებთ, რომ ბოლო მასშტაბური წვრთნები რუსეთმა ოკუპირებულ რეგიონებში გასული წლის 12 დეკემბერს ჩაატარა, სადაც რუსული საოკუპაციო ძალების 600-ზე მეტი სამხედრო შენაერთი მონაწილეობდა. პარალელურად, რუსეთმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, ჯავაში ოპერატიურ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს „ისკანდერის“ უახლესი მოდიფიკაცია „ისკანდერ-M“-ის ტიპის რაკეტები განათავსა. აღნიშნულ ბალისტიკურ რაკეტას, რომელზეც ბირთვული ქობინის დამაგრებაც შეიძლება, ზებგერითი სიჩქარით, ნებისმიერი სამიზნის განადგურება, 500 კილომეტრის მანძილზე შეუძლია.

სამხედრო ოლქის 6 პოლიგონზე მასობრივი განადგურების სპეციალური წვრთნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ამ დრომდე კომენტარი არ კეთდება საგარეო საქმეთა სამინისტროში. საკითხი უკომენტაროდ დატოვეს შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის **დავით სიხარულიძის** განცხადებით, რუსეთი აგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელსაც წლებია, საქართველოსთან მიმართებაში აწარმოებს. მისივე თქმით, რუსეთის ამ პროვოკაციულ ქმედებებს ხან განცხადების სახე აქვს, ხან წვრთნის თუ სამხედრო მანევრირების. ამ ყველაფერზე კი საჭიროა რეაგირება — აუღელვებლად და მშვიდი გონებით.

„ასეთი წვრთნები მიზნად ისახავს ერთ რამეს — რეგიონში გამოიწვიოს ძალის დემონსტრირება. სამწუხაროდ, რუსეთი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის კრიტერიუმებით აზროვნებს, როდესაც ძალის დემონსტრირება საკუთარი სახელმწიფოსთვის პოზიტიური გავლენის მომტანი ჰგონია“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას დავით სიხარულიძემ.

რაც შეეხება მასიური განადგურების სპეციალურ წვრთნებს, სამხედრო მიმომხილველი, ჟურნალ „არსენალის“ რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილის** თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაცა აუცილებლად ბირთვული ომისთვის ემზადება.

„დიდი ხანია, მსოფლიოში არსებობს ბირთვული იარაღი, საბედნიეროდ, აიკრძალა ქიმიური იარაღი, თუმცა, ზოგ ქვეყანაში დარჩა კიდევაც. არსებობს ბიოლოგიური თავდასხმის საშიშროებაც. ქვეყანა, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, ცდილობს, მოემზადოს, რადგანაც ასეთი დანაყოფების გამოყენება შეიძლება არა მარტო ომის დროს, არამედ ტექნოგენური კატასტროფების დროს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური წვრთნები მიმდინარეობს, რაღაცას აპირებენ საქართველოს წინააღმდეგ, ასე არ არის“, — აღნიშნა ირაკლი ალადაშვილმა.

რუსეთის სამხედრო ოლქის 6 პოლიგონზე მასიური განადგურების წვრთნების დაწყების პოლიტიკურ მოტივზე საუბრობს პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი,** რომლის განცხადებით, წვრთნებს სამხედრო დანიშნულება არ აქვს, რადგან წინ წამოწეულია პოლიტიკა.

„დიახ, პუტინი შევიდა იმ სტადიაში, როდესაც მას უკან დასახევი გზა არ გააჩნია. ამასთანავე, ეს წვრთნები თავისი გეოგრაფიული წერტილებით სხვადასხვა კონსპექტის მატარებელია. კერძოდ, უკრაინისა და საქართველოს მიმართ გზავნილები სრულიად მკაფიოა. რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთს, არის მცდელობა, რომ ერთიანად იყოს წარმოსახული ჩრდილო და სამხრეთ ოსეთი.

რაც შეეხება სომხეთს, როგორც ჩანს, დადგა დრო, რომ შეახსენონ მათი ვალდებულებები რუსეთის მიმართ. გარდა ამისა, ეს გარკვეული გზავნილია აზერბაიჯანისთვისაც. სხვა მხრივ ჩემთვის ძნელად წარმოსადგენია რა სამხედრო მიზანს შეიძლება ემსახუროს ეს წვრთნები. ამიტომ, ვთვლი, რომ ეს უფრო პოლიტიკური დატვირთვის თემაა, ვიდრე სამხედრო საიდუმლოების შემცველი“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე

გაეროს სამუშაო ჯგუფმა აღიარა, რომ ასანჟს უკანონოდ ნაართვეს თავისუფლება, და მოუწოდა დიდ ბრიტანეთსა და შვედეთს გადაუხადონ კომპენსაცია

გაეროს სამუშაო ჯგუფმა უკანონოდ ჩამორთმეული თავისუფლების საქმეებში ოფიციალურად გამოაქვეყნა თავისი ვერდიქტი ვიკილიქსის დამფუძნებლის ჯულიან ასანჟის საქმეზე. როგორც წინა დღით იტყობინებოდნენ, საჩივარს მხარი დაუჭირეს — სამუშაო ჯგუფმა მოუწოდა დიდ ბრიტანეთსა და შვედეთს, გადაუხადონ ასანჟს კომპენსაცია უკანონოდ ჩამორთმეული თავისუფლების გამო.

გაერომ ცნობა გაავრცელა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობისმყოფელების მიერ გაუპატიურების ახალი შემთხვევების შესახებ

ბამბარში ინფორმაციის მიღების შესახებ 7 ახალი ინციდენტის შესახებ გაიგზავნენ ექსპერტები ფაქტების შესასწავლად. შედეგად გაეროს შინაგანი მონიტორინგის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს საკმაო ცნობები რომ მინიმუმ 5 გოგონა, რომლებმაც განიცადეს სექსუალური ძალადობა, არასრულწლოვანი იყო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაპატიმრეს უპილოტო თვითმფრინავის მეპატრონე, რომელიც ემფაირ - სტეიტ ბილდინგის სათამბჯენში შეიჭრა

პოლიციის მონაცემებით, თვითმფრინავი შეიჭრა შენობაში მეორმოცე სართულის დონეზე და ჩამოვარდა 36-ე კარნიზამდე. უპილოტო თვითმფრინავის მფლობელი დააკავეს მას შემდეგ, რაც მან მცველებს სთხოვა დახმარება საფრენი აპარატის გამოტანის შესახებ. დაკავებულს წაუყენეს ბრალდება თვითმფრინავის უკანონო მართვაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზღვის ლომის შვილი შევიდა ფეშენებელურ რესტორანში

თანამშრომლებმა ცხოველი აღმოაჩინეს დივანზე საუცხოო მაგიდასთან ოკეანის ხედით. სანდიეგოს ოკეანარეუმის მუშაკებმა, რომლებიც გამოძახებით მოვიდნენ, გამოარკვიეს, რომ ზღვის ლომის შვილი მეტად გამხდარია — პატარა დედალი ლეკვის წონა მისი ასაკის ნორმაზე თითქმის ორჯერ მცირეა. შეეცდებიან, მოუარონ ცხოველს ოკეანარიუმში და გაუშვან.

ტრამპი და სანდერსი სოლიდურად უსწრებენ საპრეზიდენტო კონკურენტებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუ-ჰემპშირში პრაიმერიზის წინა დღეს

გამოკითხვის თანახმად, დაუჭირონ მხარი ტრამპს, მზად არის რესპუბლიკელი ამომრჩევლების 29 პროცენტი. მეორე ადგილზე პოპულარობის მიხედვით არის სენატორი ფლორიდის შტატიდან მარკო რუბიო. მას მხარი 18-მა პროცენტმა დაუჭირა. დემოკრატებს შორის სანდერსი ლიდერობს ერთობ მყარად: მას ორჯერ მეტი ამომრჩეველი უჭერს მხარს, ვიდრე ჰილარი კლინტონს.

„დი გარდიანი“: საუდის არაბეთმა შეიძლება შეიყვანოს ჯარები სირიაში თურქეთის მხარდაჭერით

ბრიტანული გაზეთის წყაროს მონაცემებით, საუდის არაბეთი, როგორც ჩანს, სირიაში თავისი გეგმების განხორციელების დროს აპირებს, იმოქმედოს თურქეთთან კოორდინაციაში. იტყობინებიან, რომ საუდის არაბეთმა და თურქეთმა რამდენიმე კვირის წინათ შექმნეს ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საბრძოლო მოქმედებათა კოორდინაციისათვის.

კონკურსის დროს, ქართული სიმღერის მოსმენისას, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა თქვა, ბედნიერი ვარ, რომ ამ სიმღერამ ინდოეთსა და სამხრეთ ამერიკაში მამოგზაურაო.

არ ვიცი, ქართულმა სიმღერამ ვინმე ინდოეთში ან ბრაზილიასა და მექსიკაში რატომ უნდა ამოგზაუროს, არ ვიცი, ქართულ სიმღერას ვინმე ლათინურ-ამერიკულ მელოდიებზე რატომ უნდა მღეროდეს, მაგრამ ვიცი, რომ თუ ქართული მუსიკა სიახლეებს საჭიროებს, კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები მაშინ იქნებიან თავისუფლები თუ ახალ, თანამედროვე ქართულ მუსიკას შექმნიან და არა მაშინ, როდესაც ძველ ქართულ სიმღერებში უცხოურ მუსიკალურ ყღერადობას შეიტანენ.

ქართული ძველს არ უნდა ნიშნავდეს და უცხოური — თანამედროვეს.

ყოველი ერი თვითმყოფადობის შენარჩუნებით უნდა შეკავშირდეს და არა შეერწყას ერთმანეთს

ერთმა ქართველმა დიდმა კომპოზიტორმა თქვა, ევროპულ მუსიკას აზიური მელოდია შევურიე, რომ ევროპული და აზიური ერები დამეახლოვებინაო.

საკაცობრიო მრავალფეროვნება ერების თვითმყოფადობაა. ჩვენს სხეულში ბუნებრივ ქმნილებას რატომ ვასახიჩრებთ? თვითმყოფადობა ადამიანის უნიკალური ბუნებიდან გამოედინება და ეროვნულ თვითმყოფადში გადადის. იდეოლოგიური ან სუბიექტური მოსაზრებებით, მსგავსი ქირურგიული ჩარევების უფლება არავის აქვს.

მელოდიური, რიტმული, ჰარმონიული თუ ინტონაციური მრავალფეროვნება, ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ვაშლში, ატამში, მსხალში არომატი და გემო. ვაშლის ყოველი ჯიში, თავის თავში, ვაშლობასაც, ანუ თავის ზოგადობასაც შეიცავს და ერთი ჯიშისთვის დამახასიათებელ უნიკალურობასაც. ცოცხალ სამყაროში მგრძნობელობა ისეა მომართული, რომ ვაშლის ზოგადობა და უნიკალურობა ცხადდება ისე, როგორც ვაშლი ამჟღავნებს თავის თავს. ადამიანიც, როგორც ბუნებრივი არსება, თავის თავში აერთიანებს თავის ზოგადსაც და უნიკალურსაც. უნიკალურ მახასიათებელს ზოგადადამიანურში განსხვავებული „არომატი და გემო“ შეაქვს. უნიკალური და ზოგადადამიანური ერთი მთლიანობაა, ორი ადამიანური საწყისია და ორივე დიდი საკაცობრიო ღირებულებისაა. ისინი ადამიანში ერთმანეთს არ უპირისპირდებიან. მათ ვერ აღვიქვამთ, როგორც ადამიანურ და არაადამიანურ მხარეს.

ადამიანი თავისმა ზოგადადამიანურმა მახასიათებელმა საზოგადოების ელემენტად აქცია. თანამედროვე სამეცნიერო, ტექნიკური, კულტურული, სასპორტო, სამედიცინო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროს განვითარებას ზოგადადამიანურ მახასიათებელს უნდა ვუმადლოდეთ. ის ქმნის ერთიან საკაცობრიო სივრცეს, ხოლო ინდივიდუალური მახასიათებელი ამ სივრცეს ფერებად ყოფს.

ადამიანის ამ ორმა ბუნებრივმა მახასიათებელმა კაცობრიობას ორგანზომილებიანი სივრცე შეუქმნა:

1. ეროვნული განზომილება, რომლის ელემენტია ინდივიდი;

2. საზოგადოებრივი განზომილება, რომლის ელემენტია პიროვნება.

ინდივიდუალურობა და ზოგადადამიანურობა ადამიანის ორბუნებოვნებაა. ამიტომ არის პიროვნება უნიკალურობის მატარებელი, ხოლო საზოგადოება —ეროვნული. პიროვნების უნიკალურობა (ინდივიდუალური მახასიათებელი) ერის თვითმყოფადობის საფუძველი გახდა. კონკრეტულ გარემოში თითოეულის უნიკალურობა იდენტურთა ერთობაში გაჯერდა. უნიკალურობა გამოიხატა ქცევაში, ენაში, სიმღერაში, მუსიკაში, ცეკვაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, ლიტერატურაში, კულინარიაში, ჩაცმულობაში და ასე შემდეგ.

ადამიანში ინდივიდუალური და ზოგადადამიანური მახასიათებლები ერთმანეთს ავსებენ და განწირულია ის, ვინც ამ ერთობის მოშლას შეეცდება. ბუნების კანონების გაუთვალისწინებლობას ბუნების მხრიდან დასჯა მოსდევს. იმ მეცნიერებს ნუ დავემსგავსებით, რომლებსაც ეგონათ, რომ თავიანთი აღმოჩენებით ბუნებას ამარცხებდნენ, და ბოლოს, ღმერთის უარყოფამდეც მივიდნენ.

ყოველი ახალი აღმოჩენა ღმერთთან მიახლოებაა და არა — განშორება.

ის, ვინც ქმნის, როგორც თავის უნიკალურობას, ასევე ეროვნულ თვითმყოფადს ამჟღავნებს. ადამიანი მხოლოდ თავისი თავის გამოხატვისას აღწევს ჭეშმარიტ თავისუფლებას. თავისუფლებაში ვლინდება ის ბუნებითი, რაც მის შემოქმედებით ნაყოფს უნიკალურს ხდის და ამავე დროს — ეროვნულს.

ერთხელ, თბილისში სტუმრობისას, საკავშირო ცეკას პოლიტბიუროს წევრმა ქართველ პოეტებს მოუწოდა, ლექსები რუსულ ენაზე დაეწერათ. ეს დამპყრობლის მოწოდება იყო, მაგრამ დაპყრობილებმა იცოდნენ, რომელ ენაზე ეწერათ. საბჭოთა იდეოლოგიის იძულების მიუხედავად, ქართველმა საზოგადოებამ არნახული აღმასვლა განიცადა. მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ქართული კინო, ქართული მუსიკა, ქართული სპორტი, ქართული ცეკვები და ასე შემდეგ, ადამიანის ზოგადადამიანური და უნიკალური მახასიათებლების გამოვლინებები იყო. ქართული სახელმწიფო არ არსებობდა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, მიუხედავად ხოცვისა, დატყვევებისა, გადასახლებისა, მოსყიდვისა და დაშინებისა მაინც შეძლო, ყოფილიყო თავისუფალი. **ქართველმა საზოგადოებამ ზოგადადამიანური და უნიკალური ბუნების წარმოჩენა ტყვეობაშიც მოახერხა.**

დღეს ვინც ქართულ კულტურულ სივრცეში ნაწარმოებებს უცხო ენაზე წერს, ვინც მუსიკას სხვა ერისათვის დამახასიათებელ მელოდიებზე ქმნის, მღერის უცხო ენაზე ან სიმღერას ქმნის უცხო ენაზე, ან ფილმს იღებს უცხო ენაზე და უცხოური მუსიკითა და სიმღერებით აფორმებს, საუბრისას უცხო წამოძახილებით გამოხატავს თავის განწყობას, ქორწილს ან ქელეხს სხვათა ტრადიციისამებრ იხდის, ცხოვრობს სხვათა წესისამებრ და ასე შემდეგ, თავისუფალი ვერ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ცხოვრობს. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სულაც არ არის საკმარისი თავისუფლების მისაღწევად.

სახელმწიფო განზომილებაში თავისუფლება არ არსებობს. თავისუფლების ცნების შეტანა იქ, სადაც ადამიანები უფლებებითა და ვალდებულებებით არიან განპირობებულნი, სრული უაზრობაა. არჩევნების დროსაც კი, მოქალაქე არჩევანს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით აკეთებს. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს: ვიღაცის ფული, ვიღაცის დამაჯერებელი საუბარი, სახელმწიფოს მართვის უნარი, გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი მოლოდინი და ასე შემდეგ. ყველა ეს ფაქტორი გარედან არის მომართული და ყურადღებას იქცევს. ნება გარეშე ფაქტორებით იძვრის და ამიტომ თავისუფლების ცნებაში ნების ადგილი არ მოიძებნება. „თავისუფლება“ და „ნება“ სრულიად სხვადასხვა ცნებებია და ერთ არსს ვერ გამოხატავენ. „სიტყვის თავისუფლებაც“ მსგავსი ალოგიკური შეერთებით არის თავს მოხვეული, რაც მას შეუსაბამო სიტყვების კრებულს ხდის. თუ ვიღაც ხმის ამოღების უფლებას არ გვაძლევს, მაშინ გვჭირდება სიტყვის თქმის უფლება და არა „სიტყვის თავისუფლება“. ხელისუფლება ვერ მოგვცემს იმას, რაც მასში თვისობრივად არ არის. ხელისუფლება სახელმწიფო განზომილებაშია. იქ, სადაც კანონები ბატონობენ (მისაღები თუ მიუღებელი). ადამიანის ისეთი, ბუნებითი, შინაგანი გამოვლინება, როგორიც თავისუფლებაა, ვერ იარსებებს. **გამოდის, რომ ხელისუფლებას ვთხოვთ იმას, რაც არა აქვს. ჩვენი მოთხოვნით ხელისუფლებას უფლებას ვანიჭებთ, განკარგოს ის, რაც მისი არ არის; თუ მას მოვთხოვთ, შეგვიშვას ჩვენს ბინაში, ამით უფლებას ვანიჭებთ, არ შეგვიშვას ჩვენს ბინაში.**

ლიბერალიზმმა, როგორც საზოგადოებრივმა მსოფლმხედველობამ, ხელისუფლებას უნდა წაართვას მიტაცებული უფლებები. ეს კი იმას ნიშნავს, მან ვერ უკარნახოს მეწარმეს, რა და როგორ აკეთოს, ვერ უკარნახოს რეჟისორს, რა დადგას და რა გადაიღოს, ვერ უკარნახოს მეცნიერს, რა აღმოაჩინოს, ვერ უკარნახოს ახალგაზრდა ქალს, გათხოვებამდე ქალიშვილად დარჩეს თუ არა, ვერ უკარნახოს ცოლსა და ქმარს, უერთგულონ ერთმანეთს თუ სექსუალური პარტნიორები გაიჩინონ. ხელისუფლებამ თავისი ნება ვერ უნდა მოახვიოს სასპორტო ფედერაციებს, სახელოვნებო კავშირებს, თეატრებს, კინო და ტელე-სტუდიებს და ასე შემდეგ. ამავე დროს, მსოფლმხედველობრივმა ლიბერალიზმმა ოპოზიციურ პარტიებსაც არ უნდა მისცეს უფლება, რაიმე სახის გავლენა იქონიონ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ოპოზიცია, ისევე როგორც ხელისუფლება, საზოგადოებრივ განზომილებისთვის გარეშე ძალაა. ანუ სახელმწიფო განზომილებიდან საზოგადოებისკენ მომართული ძალა, რომელიც აღიარებს თავის ძალაუფლებას.

ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, თავიანთი იდეოლოგიური აღჭურვილობებით, საზოგადოებისთვის ერთნაირად საშიშნი არიან.

ხშირად გავიგონებთ, „რუსთავი-2“ ოპოზიციური ტელევიზიაა. არ შეიძლება არსებობდეს სახელისუფლებო და ოპოზიციური ტელევიზიები, ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს სახელისუფლებო და ოპოზიციური თეატრები, გაზეთები, კინოსტუდიები, ქარხნები, ფაბრიკები, სამედიცინო დაწესებულებები და ასე შემდეგ. **იდეოლოგიზებული ჟურნალისტიკა ყველაზე დამანგრეველი იარაღია. ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ეს იციან, ამიტომ ცდილობდნენ და ცდილობენ ჟურნალისტიკა სახელმწიფო განზომილების ელემენტად აქციონ. მას მეოთხე ხელისუფლებაც უწოდეს, რათა იდეოლოგიამ იარაღად გამოიყენოს.**

ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი მოვლენაა, ისევე როგორც თეატრი, კინო, ქარხანა და ასე შემდეგ. ჟურნალისტის საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესით არის განპირობებული და მისთვის მთავარი ღირებულება პიროვნება და საზოგადოებაა. როდესაც ჟურნალისტი მოქმედებს, როგორც ხელისუფლების ან ოპოზიციის იარაღი, ის თავის თავს უარყოფს, თავის თავში თავისუფლებას ახშობს.

ჟურნალისტი, თავისუფლების გარეშე, იდეოლოგიის ხმაა, რომელიც ხელისუფლებას ან ოპოზიციას ბუნებითი ადამიანის შეცვლაში ეხმარება მაშინ, როდესაც თავის თავისუფლებაში საზოგადოებას უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფოებრივი განზომილების მოწესრიგებაში.

საზოგადოებამ თავისი განვითარების შესაბამისად უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფო განზომილება და არა — პირიქით.

იდეოლოგია ცდილობს, მოიცვას არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი განზომილება სახელმწიფო ინსტიტუტებითა და მოქალაქეებით, არამედ ეროვნულ და საზოგადოებრივ განზომილებებში შედის და აღძრავს იმ სულისკვეთებით, რომელიც საბატონოდ სჭირდება. იდეოლოგიური სირეგვენის საშინელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს დედის საშვილოსნოში შეღწევა და მცდელობა არდაბადებული ბავშვი იდეოლოგიის შესაბამისად „დამოძღვროს“. **„რუსთავი-2“-ში დიდი ხნის მანძილზე ტრიალებდა რეკლამა, სადაც უჩინარი ხმა, დედის საშოში მყოფ, ჯერ არ დაბადებულ გოგონას აუწყებდა, რომ დაბადების შემდეგ საცოდავი იქნება; სწავლაში ხელს შეუშლიან, გათხოვდება და ქმარ—შვილს უნდა მოუაროს, დაურეცხოს, აჭამოს და ასე შემდეგ. ჯერ არდაბადებულ ბიჭს კი აუწყებს, დაბადების შემდეგ ცოლ-შვილის შესანახად რამდენი წვალება ელის.**

სამწუხაროდ, ჟურნალისტიკა ამ შემთხვევაშიც იდეოლოგიის იარაღია.

იდეოლოგია ცდილობს, თავის იარაღად აქციოს მწერალიც, ხელოვანიც, მეცნიერიც, ის ყველას ერთი მიმართულებით მიერეკება და მიზანი განვითარება კი არა, ძალაუფლებაა. ხელოვნების საბატონოდ გამოყენებას ხელისუფლებები ჩვენ წელთაღრიცხვამდეც ახერხებდნენ და შემდგომაც. **ცნობილია, სპარსეთის მეფე დარიოსი როგორ იყენებდა მას თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად. საზოგადოებრივი ძალების გამოყენების გარეშე ყველა იმპერიას გაუჭირდება ბატონობა. შემოქმედი ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ძალაა.**

ჭეშმარიტების ძიებას სივრცე სჭირდება. იდეოლოგია ამ სივრცეს ზღუდავს. სახელმწიფო განზომილებაში მთავარი ჭეშმარიტება კი არა, მორჩილებაა. ამიტომ იდეოლოგიას „განწმენდილი“, ანუ ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელსაც თავად აღძრავს. იდეოლოგია ადამიანისთვის გარედან მომართული იძულებაა. მისი მიზანია, ადამიანში შინაგანი აღმძვრელი გათიშოს და დაეუფლოს მას. იდეო-

ლოგიური აღმძვრელის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი თუ ჭკუასუსტი ან სულგაყიდულია, შეიძლება თავს ბედნიერადაც გრძნობდეს. მისი თვალსაწიერი იდეოლოგიურ ჭრილშია მოქცეული და სამყაროს იმ ფერებში ხედავს, რომელსაც იდეოლოგიური სათვალე აწვდის.

დღეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მუსიკალურ ნაწარმოებში სხვა ერისთვის დამახასიათებელი მელოდიის ჩანერგვა. **მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული აღრევები კულტურათა მრავალფეროვნება კი არა, თვითმყოფადობის მოშლა და ერების შერწყმის მცდელობაა.**

იდეების სამჭედლო საზოგადოებაა და ხორცშესხმაც საზოგადოებრივ განზომილებაშია შესაძლებელი. საკაცობრიო პროგრესი პიროვნებებისა და საზოგადოებრივი მიღწევების შედეგია და არა პოლიტიკოსებისა და სახელმწიფოსი. დღეს, კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, ინტერნეტის გამოგონებამ შეცვალა მსოფლიო და არა რომელიმე პარტიამ ან რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტმა.

საზოგადოებრივი განვითარების რაღაც ეტაპი იწვევს სახელმწიფო განზომილებაში ცვლილებებს და არა – პირიქით.

იდეა საზოგადოებაში, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, იბადება და კვდება. როდესაც ის სახელმწიფო განზომილებაში გადაგვაქვს, ძალაუფლებას ვაძლევთ. კვდომის პროცესში ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს და საამისოდ სისხლის ღვრასაც არ ერიდება. **საზოგაოებაში მომაკვდავი იდეის ახალი იდეით შეცვლა უმტკივნეულოდ ხდება, სახელმწიფო განზომილებაში კი იდეოლოგიად ქცეული იდეა კვდომისას დამანგრეველ ძალად გვევლინება.**

საზოგადოებრივი იდეების განხორციელება სახელმწიფოს საქმე არ არის. ეს ფუნქცია, განუვითარებელი საზოგადოების პერიოდიდან, სახელმწიფოს აქვს მიტაცებული. ლიბერალიზმის არსი ის გახლავთ, რომ სახელმწიფოს მხრებიდან მოხსნას ის ტვირთი, რისი ტარებაც მისი საქმე არ არის.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი ღირსება ის იყო, რომ სახელმწიფოს წარმოებაში ჩარევის უფლება წაართვა: ამ პროცესს საზოგადოებაში ბურჟუაზიული კლასის გაძლიერება უძღოდა; ჯეიმზ პარგრეივზის საქსოვმა მანქანამ, ჯეიმზ უაიატის ორთქლის ძრავამ, რიჩარდ ტრევიჩაკის ორთქლმავალმა, ჯორჯ სტივენსონის ე.წ. „რაკეტამ“, ჯეთრი თარის სათესმა მანქანამ, ორთქლის სახნავმა მანქანამ, მომრავლებულმა ქარხნებმა და ფაბრიკებმა, (ე.წ. „სამუშაო სახლებმა“) საზოგადოებაში ცვლილებები გამოიწვიეს. მოძლიერებულმა ნაწილმა საზოგადოებისა, სრულიად ბუნებრივად, ფეოდალური სახელმწიფოსგან თავი დაიხსნა. ლიბერალური იდეის მეორე ეტაპი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში სახელმწიფოს ჩარევის უფლების თანდათანობითი წართმევა. მაგალითად; კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში და ასე შემდეგ. ეს საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი გზა იქნებოდა. **სინამდვილეში რა მოხდა? ლიბერალისტური და მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველი სოციალისტური იდეები სახელმწიფო განზომილებაში გადაიტანეს, იდეოლოგიებად აქციეს. იდეები, რომლებიც სახელმწიფოს შესაცვლელად იყო მიმართული, იდეოლოგიად ქცევის შემდეგ საზოგადოებასა და ერს დაუპირისპირდა, პიროვნებას დაუპირისპირდა. ასე იყო ფრანგული სოციალიზმის დროს, ასე იყო ფაშისტური სოციალიზმის დროს, ასე იყო საბჭოთა სოციალიზმის დროს და ასეა დემოკრატიული ლიბერალიზმის დროს.**

უახლოეს წარსულში დავინახეთ, იდეოლოგიები როგორ იმსხვრევიან. უნდა გვეყოს ძალა, ახალი იდეოლოგიების ტყვეობაში არ მოვექცეთ. იდეოლოგია ადამიანში ბუნებას ებრძვის. ყველა იდეოლოგიამ მიზნად ახალი ადამიანის გამოყვანა დაისახა. ეს ვერ მოახერხა ფაშიზმმა, ვერ მოახერხა სოციალიზმმა, ვერ მოახერხებს რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ვერც დემოკრატიული ლიბერალიზმი მოახერხებს.

იდეები საზოგადოებრივი მოვლენებია და როგორც კი სახელმწიფო განზომილებაში გადავიტანთ, ბოროტ გამოვლინებებად იქცევიან.

პოლიტიკური იდეოლოგიების არარსებობის პერიოდში ხალხზე საბატონოდ მისნებს, ქურუმებს, მოგვებს და მოგვიანებით რელიგიებს იყენებდნენ. იდეა ღმერთის შესახებ საზოგადოებრივი მოვლენაა, საზოგადოებრივ განზომილებაში იშვა და პიროვნების სულიერ მისწრაფებად იქცა. ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ღმერთის იდეის გადატანა სახელმწიფოებრივ განზომილებაში ისეთივე ანომალიაა, როგორც რწმენისა კანონში. საზოგადოებრივი მოვლენის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, იგივე მიზანს ემსახურებოდა, რასაც პოლიტიკური იდეოლოგიები ემსახურებიან, ისინი განამტკიცებენ ხელისუფალთა ძალაუფლებას.

მსოფლიოზე ბატონობის მოსურნე რომსა და ბიზანტიას რელიგიურმა იდეოლოგიებმაც ვერ უშველეს და აღიგავნენ პირისაგან მიწისა. **ალექსანდრე მაკედონელმა მსოფლიოზე ბატონობაში ხელისშემშლელ ფაქტორად კულტურათა მრავალფეროვნება მიიჩნია და ბერძნული და სპარსული კულტურების აღრევას შეეცადა, რასაც დღეს კულტურათა მრავალფეროვნებას ეძახიან.**

მსოფლიოს ბატონობაზე მეოცნებე მაკედონელს სული ისე აღმოხდა, ლაშქრობიდან შინ დაბრუნებას ვერ ეღირსა.

ბუნების საწინააღმდეგო ქმედება ბუნების რისხვას იწვევს. როგორც ვაშლის ჯიშების აღრევით, მრავალი ვაშლის ჯიშის ფერი და გემო დაიკარგება, ასევე კულტურათა აღრევით მრავალი ენა და მრავალი კულტურა განადგურდება, რაც კაცობრიობას გააღატაკებს.

ინგლისური ენა საერთაშორისო კომუნიკაციის ენაა და არა საერთაშორისო შემოქმედებისა, რადგან ასეთი შემოქმედება არ არსებობს. ადამიანის გამოხატვის ენა მშობლიური ენაა, უცხო ენა კი, უცხოსთან კომუნიკაციისა. ქართველი კომპოზიტორი ქართულ კულტურულ სივრცეში, ქართულ ენაზე და ქართულ მელოდიებზე უნდა ქმნიდეს სიმღერებს, რუსი კომპოზიტორი რუსულ კულტურულ სივრცეში, რუსულ ენაზე და რუსულ მელოდიებზე, ინგლისელი კომპოზიტორი ინგლისურ კულტურულ სივრცეში ინგლისურ ენაზე და ინგლისურ მელოდიებზე, კაცობრიობის მრავალფეროვნება ეს არის.

გლობალიზაცია კაცობრიობის მომავლისთვის აუცილებელი მოვლენაა. ადამიანებს უნდა გვეყოს გონიერება, ყველა ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებით შევკავშირდეთ და არა შევერწყათ ერთმანეთს. დღეს ხელოვანების ხელშია ბედი თითოეული ერის თვითმყოფადობის გადარჩენისა და არა – კუნთმაგარი, კბილებამდე შეიარაღებული მეომრების ხელში; თითოეული კომპოზიტორი, მომღერალი, მხატვარი, რეჟისორი, მსახიობი, არქიტექტორი, დიზაინერი, ჟურნალისტი, მწერალი ჯარისკაცია ერის თვითმყოფადობის სადარაჯოზე.

თავისუფალი ადამიანი იდეოლოგიისგან არის თავისუფალი და არა თავისი თავისგან. თითოეულ ჩვენგანში, შიგნით, ხორციელ და სულიერ უჯრედში, წარსული უფრო მეტია, ვიდრე უძველეს სამარხებში. წარსულთან დაპირისპირება საკუთარ თავთან დაპირისპირებაა.

ჯუმბერ სარდლიშვილი,
ჟურნალისტი

◎ წერილი ნიუ-ორკიდან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს და მთელ სარედაქციო კოლექტივს ვუდასტურებთ ნიუ-იორკში გამოცემულ გაზეთ „დავითის ფარის“ გამომცემლის და მთავარი რედაქტორის დიდ პატივისცემას. ჩვენი სურვილია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული თქვენთვის საინტერესო მასალების დაბეჭდვა გაზეთ „დავითის ფარში“ და პირიქით. ამჯერად გიგზავნით სტატიას გამოსაქვეყნებლად.

პატივისცემით,
გაზეთ „დავითის ფარის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, პროფესორი
დავით კურტანიძე,
ნიუ-იორკი, 03. 02. 2016 წ.

„დავითის ფარი“ იუბილარია!

პროფესიონალები დამეთანხმებიან, რომ სათემო გაზეთის გამოშვება შეიძლება არანაკლებ რთული ამოცანა იყოს, ვიდრე ნებისმიერი საქალაქო თუ საქვეყნო პერიოდული გამოცემისა, მრავალეროვანი, მრავალპროფილიანი, მრავალფენოვანი მკითხველის ინტერესებს ერთი მხრივ, რომ უნდა პასუხობდეს, და მეორე მხრივ, გამოხატავდეს. ჰოდა, მე, როგორც ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის ერთ-ერთ წევრს, სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ უკვე კარგა ხანია, გვაქვს ასეთი გაზეთი. მისი, არც მეტი, არც ნაკლები, 250-ე ნომერი სულ ცოტა ხნის წინათ მიიღო მკითხველმა და, როგორც დანარჩენი 249, ეს ორას ორმოცდამეათეც, დაწყებული გლობალური პილიტიკური საკითხებით და დამთავრებული ყოფის ტკბილ-მწარე ფრაგმენტებით, უამრავ თემასა და ინფორმაციას მოიცავს. აქვე გაზეთის თავფურცელი გვაუწყებს, იუბილარი ვარო!

დიახ, „დავითის ფარი“ იუბილარია!

მაინც, რა არის საიდუმლო, რის წყალობითაც გაზეთი გადაურჩა არა მარტო რადიოს და ტელევიზიის, არამედ ელექტრონული მედიის კონკურენციას, თემში თაობათა მონაცვლეობას, ფინანსურ სირთულეებს? ჩვენი აზრით, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ალბათ ის, რომ ეს ბეჭდვითი ორგანო მართლაც არის თემის ავ-კარგის მოზიარე, ანუ ის სუბიექტი, რომელსაც თემის მაჯისცემაზე უდევს ხელი. მის ფურცლებზე, აგრეთვე, გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, შუქდება ინფორმაცია სამი ქვეყნის – ისრაელის, შეერთებული შტატებისა და საქართველოს შესახებ, და იმდენად, რამდენადაც ერთი – მარადიული სამშობლოა ქართველი ებრაელისა, მეორე ამჟამინდელი და მესამე – ყოფილი, მის (გაზეთის) მიმართ ინტერესი საეჭვოა ოდესმე განელდეს. მისსავე ფურცლებზე აისახება თემის სამეცნიერო სფეროში მომუშავე თუ შემოქმედ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბები, მათი მიღწევები. ზოგიერთი მათგანის შემოქმედებითი ნააზრევი სულაც პირველად „დავითის ფარის“ ფურცლებზე ჰპოვებს დღის სინათლეს. აქვე ნახავთ მეტ-ნაკლებად ამომწურავ მასალას რელიგიური და ეროვნული დღესასწაულების შესახებ. ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, „დავითის ფარმა“ შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა და გაეერთიანებინა ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა თემის სხვადასხვა ინტერესებისა და შესაძლებლობების წევრები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართველ ებრაელთა თემები და სამეგობროდ მუდამ მზად მყოფი ქართველი ავტორები. გაზეთში ნახავთ მასალებს პოლიტიკური სიახლეების, ისტორიული ფაქტების, ლიტერატურისა და კულტურის შესახებ.

ბეჭდვითმა ორგანომ ამ ხნის მანძილზე მოიხვეჭა ისეთი ავტორიტეტი, რომ მის ავტორობას დიდ პრივილეგიად თვლიან ადამიანები, რომლებსაც სულაც არ აკლიათ ასპარეზი საქართველოს თუ ისრაელის, გნებავთ შეერთებული შტატების ბეჭდვით ორგანოებში, და მაინც, „დავითის ფარის“ ფურცლებზე უნდათ მოხვედრა. მათ შორის არიან არა მარტო ნიუ-იორკის ქართველი ებრაელები, არამედ აქაური ქართული თემის წევრები, ან, სულაც, საქართველოში ან ისრაელში მცხოვრები ადამიანები.

თუმცა, მოდით, ვიყოთ სამართლიანები და ვთქვათ: ეს ავტორები ხომ ყოველ ნომერში არ ჩანან ხოლმე. გაზეთი კი გამოდის, გამოდის და მთელი პასუხისმგებლობით, კვლავ და კვლავ საინტერესო თემებით წარდგება მკითხველის წინაშე...

„დავითის ფარი“ თემს სჭირდება, და დიახ, მან უნდა იარსებოს. ხოლო მის დამფუძნებელს, გამომცემელსა და რედაქტორს სიმონ კრიხელს დიდი მადლობა იმ ჩუმი, უპრეტენზიო შრომისათვის, რომელსაც ის ყოველი ნომრის მომზადებისა და, საერთოდ, გაზეთის არსებობისათვის ეწევა.

◎ გაიხსენეთ

იცით თუ არა, რომ...

● მეცნიერული მეანობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა საქართველოში ივანე თიკანაძემ ნ. კახიანთან და გ. მუხაძესთან ერთად საქართველოში პირველმა გააკეთა ხელოვნური საშოს შექმნის ოპერაცია. მის მიერ შემუშავებულ მეთოდს, საშვილოსნოდან ატონიური სისხლდენის წინააღმდეგ, დღესაც ფართოდ იყენებენ სამედიცინო პრაქტიკაში. გ. ღამბარაშვილთან ერთად მან ასევე პირველად გამოიყენა რენტგენის სხივები მეანობაში.

● ილია ზაქაიძის მიერ როსტომ საგინაშვილთან ერთად შესრულებული სიმღერა „ჩაკრულო“ 1977 წელს „ნასამ“ კოსმოსში გაგზავნა.

● 1819 წლის იმერეთის აჯანყების დროს დაპატიმრებულმა ღირსმა ეფთვიმე გაენათელმა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრესთან შეხვედრისას იმპერატორს ახალი ნერონი უწოდა და უშიშრად ამხილა იგი საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისათვის თავისუფლების წართმევაში.

● 1819 წლის იმერეთის აჯანყების დროს მიტროპოლიტ დოსითეოს ქუთათელს, როგორც აჯანყების ერთ-ერთ მოთავეს, რუსეთის ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა – მას და ეფთვიმე გაენათელს თავებზე ტომრები ჩამოაცვეს და მათრახების ცემით წაიყვანეს.

წყარო: „tatatatuli.wordpress.com“

დიპლომატიაში გაუთვითცნობიერებელი საპინისტრო?

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოში ფილიპინების რესპუბლიკის საპატიო კონსულთან თემურ ჭიჭინაძესთან, რომელმაც ჩემში, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს საკონსულო სამსახურის შემქმნელში, შესაბამისი ინტერესი და რეაქცია გამოიწვია. ინტერვიუს სათაური და შინაარსი „რატომ დაერია მაია ფანჯიკიძე საპატიო კონსულებს?“ – შკარად ასახავს იმ მანკიერ ვითარებას, რასაც აღნიშნულ სამინისტროში ჰქონდა და აქვს ადგილი – არა მარტო საპატიო კონსულებთან, არამედ საერთოდ, დიპლომატიასთან მიმართებაში.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ვეთანხმები ავტორის მოსაზრებას საპატიო კონსულებთან დაკავშირებით, ამასთანავე გულდაწყვეტით აღვნიშნავ მის, როგორც არაპროფესიონალი დიპლომატის უფრო მეტ გათვითცნობიერებას საკონსულო სამსახურის ერთ-ერთ ისეთ დარგში, საპატიო საკონსულოს საქმიანობაში, „პროფესიონალ“ დიპლომატთან, ყოფილ მინისტრთან შედარებით.

25 წელიწადია საქართველო „დამოუკიდებლად“ ცხოვრობს და ამ ხნის მანძილზე ვერაფრით მოახერხა ისეთი დიპლომატიური სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც წაადგებოდა სახელმწიფოს. რატომღაც საზოგადოების დიპლომატიასთან დამოკიდებულება მაგონებს ფეხბურთთან დამოკიდებულებას – ყველამ რომ ყველაფერი იცის, მაგრამ საბოლოო ჯამში – არაფერი.

არადა, დასაწყისი არცთუ ურიგო იყო. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე მაშინდელმა ტრიუმვირატმა – სიგუა-კიტოვან-იოსელიანმა რაც გააკეთა ის იყო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად ცნობილი საბჭოთა დიპლომატი ალექსანდრე ჩიკვაიძე მოიწვია, რომელიც იმჟამად საბჭოთა კავშირის ელჩად მუშაობდა ნიდერლანდების სამეფოში. ჩიკვაიძემ მოახერხა სამინისტროს ფუნდამენტის ჩაყრა და ის-ის იყო პირველი სართულის მშენებლობას შეუდგა, რომ შევარდნაძის სუბიექტური გადაწყვეტილებით შორს მოისროლეს ქვეყნიდან – ელჩად საბერძნეთში.

მას შემდეგ საგარეო უწყებას მინისტრად, პროფესიონალი დიპლომატი არ ღირსებია, თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე პერიოდს, როდესაც ამ ორგანოს თედო ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. იყო სხვაც, მაგალითად სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც ქართულ დიპლომატიას თავი ვოლუნტარისტ-დიქტატორად დაამახსოვრა...

საქართველოს ხელისუფლებას ნაცვლად იმისა, რომ ამ ახალი დარგისთვის საჭიროზე მეტი ყურადღება დაეთმო, პირიქით მოიქცა და ისიც არ მოახერხა, რომ შესაფერისი შენობა გამოეყო მისთვის. საქართველოს ხელისუფლება ვერც დღეს ხვდება, რომ მთის კორტოხზე, ძველ, ამორტიზებულ შენობაში განთავსებული „დიპლომატია“ მისასვლელადაც მოუხერხებელია და ქვეყნის თუნდაც „ფასადური“ სახისთვის, შეუფერებელი.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისე როგორც დროშა, გერბი და ჰიმნი ქვეყნის სიმბოლოა და არა სამასხარაო საქმე. როდესაც საქართველოს ელჩად ჩინეთში ბეგაშვილს გაგზავნი და არა მარტო მას, არამედ სხვასაც, დღეს რომ „წარმატებით“ „მოღვაწეობენ“ ამა თუ იმ ქვეყანაში, მასხარაობაა და დიპლომატიისგან კარგს არაფერს უნდა ელოდე.

ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, მიუხედავად დამოუკიდებელი სასტარტო ცხოვრების გაუსაძლისობისა, შეძლო სახელმწიფო დიპლომატიური სასწავლებლის დაარსება, რითაც ხელი შეუწყო დიპლომატიური კადრების აღზრდა-ჩამოყალიბებას. საქართველომ ეს საქმე არასერიოზულად მიიჩნია. ჩიკვაიძეს ჰქონდა სურვილი ამისა, დაიწყო კიდევაც, მაგრამ მისი ელჩად გამწესების შემდეგ თვით სამინისტრომ „ანტისწავლების“ ისეთი ქარბუქი დააყენა – უარესს რომ ვერვინ ინატრებდა. მინისტრის მოადგილეები რომ თავს უფლებას მისცემდნენ, ეთქვათ, ისეთი აბსურდი, როგორიცაა – „საქართველოს არ სჭირდება დიპლომატიური სკოლა ან აკადემია, ვინაიდან ყველა ქართველი დაბადებიდან დიპლომატიაო“, – მეტი რაღა უნდა თქვა.

ურთულესი პროფესიისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რაც გვაქვს. ამგვარმა დილეტანტიზმმა გახადა მაია ფანჯიკიძე მინისტრად. მართალია, მას თავი პროფესიონალი დიპლომატი ჰგონია და ხშირად ამბობს – 16 წელი ვიმუშავე გერმანიაში საქართველოს საელჩოშიო, მაგრამ იმ 16 წლის განმავლობაში რომ მხოლოდ ყავის მოდუღებით იყო დაკავებული და ნაკლებად დიპლომატიით, ამას არც თვითონ და არც სხვა აღარ იხსენებს.

რატომღაც საქართველოს საზოგადოებაში დიპლომატია ყავის სმასთან და „ტკბილ“ საუბართან არის ასოცირებული და არა 24-საათიან ტვინის ჭყლეტასთან.

უცხოეთში საელჩოს გახსნა იოლი საქმე არ არის – არც ფინანსური თვალსაზრისით და არც დიპლომატიაში გარკვეული კადრების სიმწირიდან გამომდინარე. გარდა ზოგიერთი ქვეყნისა, დანარჩენ ქვეყნებში მომუშავე ქართულ დიპლომატიას რომ ვერაფრით დაუსაქმებია თავი, ცნობილი ფაქტია და ყურადღებას არ გავამახვილებ.

რა ხანია კანადის ელჩი საქართველოში, ტერიტორიულად ქ.ანკარაში ზის. ის, თურქეთში, კანადის ელჩია და ითავსებს საქართველოში ელჩობას. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ხსნის კანადა საქართველოში საელჩოს, ელჩმა მიპასუხა – ძვირი ჯდებაო.

მახსოვს, თხოვნით მოსული ნაცნობი – „ბიჭის“ სამსახურში მოწყობაზე. „შესახედავად კარგია, ყავის სმაც უყვარს და ლაპარაკიც ეხერხებაო“, – ახასიათებდა მამა. უარი ვუთხარი, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, რამდენიმე წლის შემდეგ სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობაზე ვიხილე...

საპატიო კონსულებისა და მათი საკონსულო დაწესებულებების პრივილეგიები და იმუნიტეტები სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული წესია. ისე ეპყრობიან საპატიო კონსულებს, როგორც შტატიანებს. ვენის, 1963 წლის კონვენციის მიხედვით, განსაზღვრულია წესები, რომლებიც ეხება საპატიო კონსულებს. მათი საქმიანობა ფართოვდება და არ ვიწროვდება და დადებითად აისახება საქართველოს დამოკიდებულებაზე იმ ქვეყანასთან, რომელსაც საპატიო კონსული წარმოადგენს.

საპატიო კონსულის ადგილსამყოფელი ქვეყნის (ამ შემთხვევაში საქართველოს) ბიუჯეტზე არ არის ჩამოკიდებული არც შტატით, არც საკონსულო შენობის დაქირავების ხარჯებით, არც სხვა ხარჯებით. პირიქით, რის შესახებაც ამბობს თემურ ჭიჭინაძე, მაგრამ იცოდა ამის შესახებ ფანჯიკიძემ? დარწმუნებული ვარ, ვენის ორივე კონვენციისთვის (1961, 1963) მას ხელიც არ შეუვლია, რომ შეევლო, სავალალო გადაწყვეტილებამდე არ მივიდოდა.

თვალში მომხვდა ჟურნალისტის კითხვა – ამერიკის მოქალაქემ მანქანით გაიტანა ჩვენი ახალგაზრდა, ამის გამო იგი არავინ დაიჭირა, ამ დროს ჩვენმა დიპლომატმა ანალოგიური შემთხვევის გამო ამერიკული ციხე „ხეხაო“. ამერიკის მოქალაქეს და არა მარტო დიპლომატს, იმუნიტეტი იცავს. მას ხელს ვერავინ ახლებს, რაც არ უნდა ჩაიდინოს.

ეს, პრივილეგია კარგა ხანია საქართველოს პარლამენტმა მიანიჭა, როდესაც განიხილა ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების საქართველოში ყოფნის საკითხი. რაც შეეხება მახარაძეს – მას შევარდნაძის განკარგულებით უმალ მოუხსნეს დიპლომატიური იმუნიტეტი, რასაც მის მიერ ციხის „ხეხვა“ მოჰყვა. საქართველოს ხელისუფლებამ არ დაიცვა საკუთარი დიპლომატი და ნაცვლად სამშობლოში გასამართლებისა, ამერიკელებს გაასამართლებინა, რითაც აშკარად დაამტკიცა საკუთარი თავის უპატივცემულობა და უსუსურობა.

საქართველოს 100-ზე მეტი დიპლომატიური წარმომადგენლობა აქვს, რაც ნებისმიერ ეკონომიკურად წელგამართულ ქვეყანას შეშურდება. თუმცა ვტყუი, ეკონომიკურად წელგამართული ქვეყანა ისაა, ვინც ზედმეტად არ ხარჯავს სახელმწიფო ბიუჯეტს, ყაირათიანად ექცევა მას და ისეთ „სიმსუბუქეს“ არ ავლენს, რასაც საქართველოს ხელისუფლება.

საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების დასაფუძნებლად „ფასდაუდებელი წვლილი“ შეიტანა სააკაშვილმა... სააკაშვილი ის პრეზიდენტი იყო, რომელიც უდავოდ ვერ ეტეოდა საქართველოს საზღვრებში. მას სხვა – უფრო დიდი და ძლიერი ქვეყნის პრეზიდენტობა უნდოდა, მაგრამ რა გაეწყობა, გაზრდის ნაცვლად, ყველაფერი იღონა მისი ტერიტორიის შესამცირებლად.

მოჭარბებული ამბიციების დასაკმაყოფილებლად და იმისთვის, რომ საქართველოზე ვინმეს ელაპარაკა – ყველგან საელჩოების გახსნა გადაწყვიტა. ასე და ამრიგად, ისეთ „ეკზოტიკურ“ ქვეყნებში გაიხსნა საქართველოს საელჩოები, რომელთანაც საქართველოს არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური ურთიერთობა არა აქვს.

არადა, უცხოეთში საელჩოს გახსნა იოლი საქმე არ არის – არც ფინანსური თვალსაზრისით და არც დიპლომატიაში გარკვეული კადრების სიმწირიდან გამომდინარე. გარდა ზოგიერთი ქვეყნისა, დანარჩენ ქვეყნებში მომუშავე ქართულ დიპლომატიას რომ ვერაფრით დაუსაქმებია თავი, ცნობილი ფაქტია და ყურადღებას არ გავამახვილებ. იქ, სადაც საქმით არის დაკავებული, უბრალოდ არც პროფესიონალიზმი და არც შრომის მარტივი დისციპლინა არ აძლევს ხელს რომ ქვეყნისთვის იღვაწოს.

რა ხანია კანადის ელჩი საქართველოში, ტერიტორიულად ქ.ანკარაში ზის. ის, თურქეთში, კანადის ელჩია და ითავსებს საქართველოში ელჩობას. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ხსნის კანადა საქართველოში საელჩოს, ელჩმა მიპასუხა – ძვირი ჯდებაო.

დააკვირდით, მდიდარ კანადას საქართველოში საელჩოს გახსნა ძვირი უჯდება, ჩვენ – არა?! ჩვენ, პირიქით, ფულიც გვაქვს საელჩოების შენახვისთვის და დიპლომატებიც გვყვანან – საელჩოების შტატების შესავსებად. ვაი, უმეცრებავ და უყაირათო ფულის ხარჯვავ!

საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი დიპლომატები თავს იმით იმართლებენ – ეს იმიტომაა საჭირო, რომ იმ ქვეყნებმა არ ცნონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაო. ამ „შესანიშნავ“ მოსაზრებას თბილისელი „პოლიტიკოსებიც“ და „დიპლომატებიც“ იზიარებენ. მართლაც, ვაი ჩვენს თავს!

ლათინურ ამერიკაში რომ საელჩოს ხსნი, იქიდან უნდა დაიცვა ტერიტორიული მთლიანობა? იქნებ სჯობდა ყურის ძირში, სოხუმისა და ცხინვალის, თუნდაც მოსკოვის მონახულება, ამ საკითხის გადასაჭრელად და არა მეხიკოში, ოტავაში, ბრაზილიაში, რომელი ერთი ჩამოვთვალო, სამარადისო ყოფნა?

„მე, ისეთი ქვეყნის პრეზიდენტობა მინდა, რომელსაც საელჩოები ექნებაო“, – ბრძანა ერთხელ მარგველაშვილმა. კეთილი, მაგრამ იმ რაოდენობის, ნათესავებიც რომ აღარ გყოფნით საელჩოს შტატების შესავსებად?

დიპლომატიაში არსებული მდგომარეობა ქვეყნის ხელმძღვანელობის სერიოზული განხილვის საგნად უნდა იქცეს – დაწყებული შესაბამისი შენობით, დიპლომატიური სასწავლებლის დაარსებით, დიპლომატიური წარმომადგენლობების შემცირებით და მინისტრად გამოცდილი, პროფესიონალი მინისტრის, მოადგილეების შერჩევით, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ის, რაც გვაქვს – საქმეთა გარეშე სამინისტრო.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიგოლოგი.

◎ ინფორმაცია

ობამამ მშიერი ნასები დაანაყრა

პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ბარაკობამასთან ტრადიციულ საუზმეს დაესწრნენ, რომელიც როგორც წესი ყოველწლიურად თებერვლის პირველ ხუთშაბათს იმართება, – ამის შესახებ ინფორმაცია „რუსთავი-2“ ავრცელებს.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა შტატებში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები კონგრესში, ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტსა და საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში გამართეს. შეხვედრა გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელობასთან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების თქმით საქართველოში მომავალ საპარლამენტო არჩევნებს დასავლეთი დიდი ინტერესით დააკვირდება.

მათივე ინფორმაციით, საქართველოში არჩევნებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლები ჩამოვლენ.

„კიდევ ერთხელ ავუხსენით, თუ როგორ შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კანონმდებლობა ისე რომ არც ერთ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეს, არც არასამთავრობო ორგანიზაციას, არც ქვეყნის პრეზიდენტს და რაც მთავარია, არც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას არ კითხეს“, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲛᲔᲓᲘ... ᲘᲛᲔᲓᲘ... ᲘᲛᲔᲓᲘ...

მრავალი გულის ერთ გულში გამაერთიანებელი შემოქმედი

ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ სათაური დავესესხე მწერალსა და ჟურნალისტს მამუკა ვაშაკიძეს, რომლის მგრძნობიარე სტრიქონები შეტანილია ახლახან გამოცემულ პოეტ გენო კალანდიასადმი მიძღვნილ წიგნში „ეპისტოლენი დროსა და სივრცეში“. წიგნის პირველ გვერდზე ამოქარგულია პოეტისადმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა: „დღეს, როცა ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს მოშუშებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჭრილობა, თქვენს შესანიშნავ შემოქმედებასაც და მამულიშვილურ საქმიანობასაც კიდევ უფრო განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა“.

დიახაც რომ, ასეა.

წიგნი შედგენილია გენო კალანდიას მრავალმხრივ შემოქმედებაზე გამოთქმული პროფესიული მოსაზრებებით, რომლებიც ეკუთვნის სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ვისაც გრძნობის მწვერვალამდე უყვართ ქართული პოეზია, საერთოდ, ქართული მწერლობა და მისი მოამაგენი. ამ წერილებისა და მილოცვის ტექსტების უმრავლესობა დაიბეჭდა პრესაში და საიუბილეო ზეიმზე ითქვა, მაგრამ მიზეზთა გამო ბატონი გენოს შემოქმედების ყველა თაყვანისმცემლებს არ მისცემია მათი გაცნობის ან მოსმენის საშუალება . სწორედ ამიტომ ქალბატონ მანონ გულისკერიას დაებადა იდეა, შეეკრიბა სხვადასხვა დროს დაწერილი ასამდე წერილი და საიუბილეო საღამოზე გამოთქმული მისალმებები და ერთ მთლიანობაში თავმოყრილი შეეთავაზებინა მკითხველისთვის.

მართლაც რომ, შესაშური იდეაა. ეს გახლავთ სახელოვანი პოეტის ღვაწლის შეფასების არა მხოლოდ ორ მაგარ ყდაში მოთავსების კარგი მაგალითი, არამედ კიდევ ერთხელ იმის დასტური, რომ გენო კალანდია დღეს პოეზიის ფალავანია. აი, როგორ გამოხატავს ცნობილი მწერალი, ბატონი თამაზ წივწივაძე საკუთარ დამოკიდებულებას გ. კალანდიასადმი:



„წელს საიუბილეო თარიღი გისრულდება და, ახლა თუ არ გეტყვი, როდისღა გითხრა: შენ ჩემთვის დიდებული პიროვნებაც ხარ და დიდებული პოეტიც! როგორ დაგამადლი, მაგრამ შენს ლექსებს რა ჩემი შეფასება უნდა! — როცა უპირველესი ჯილდო — რუსთაველის პრემია მოგენიჭა. აქვეა მუხრან მაჭავარიანის, რეზო ამაშუკელის, ელიზბარ ჯაველიძის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და ცნობილ მოღვაწეთა ნააზრევი.

ყველა წიგნს საკუთარი დანიშნულება აქვს. სწავლული ბეკონი ბრძანებს — **„არსებობს ისეთი წიგნები, რომლებსაც მხოლოდ გემო უნდა გაუსინჯო, ისეთებიც არის, რომლებიც უმჯობესია, გადაყლაპო, მხოლოდ მცირეა ისეთი, რომელთა დაღეჭვა და მონელება მართლაც ღირს“.** აბა, ვინ იტყვის, რომ გენო კალანდიას „საგალობლები უფლისთვის“ მართლაც, გემო არ უნდა გაუსინჯო და შემდგომ არ უნდა გადაყლაპო?

„უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს,
თურმე შიგ გულში გქონია ბინა,
მე გზას ვეძებდი და თავს გიხრიდი,
ვით პაპის პაპა დიდი ხნის წინათ“.

მხოლოდ მაშინ უნდა წერო, როდესაც აზრი, რომლის გამოხატვა გსურს, ისე გაქვს აკვიატებული, მანამდე არ მოგეშვება, სანამ შესძლებისდაგვარდ არ გამოხატავ. ამ თვალსაზრისით პოეტი გენო კალანდია ყოველი თავისი ლექსის დაბადებას გაზაფხულივით ეგებება. სწორედ ეს აზრია ჩაქსოვილი მაკა ჯოხაძის წერილში, რომელიც ზემოთ ხსენებულ წიგნშია გამოქვეყნებული: **„ერთ საღამოს მარტო ვარ სახლში, მოულოდნელად ავიღე გ. კალანდიას წიგნი სულმოუთქმელად წავიკითხე, კი არ წავიკითხე, საგულე წვეთებივით გადავყლაპე და ჩემი სამშობლო გამოვიტირე“.**

სწორედ ამგვარი შეგრძნება მეუფლება თავადაც, როცა ბატონ გენოს მშვენიერ ლექსებს ვკითხულობ, უფრო მეტიც ლაშა გვასალიასი არ იყოს **„დიდ ტკივილიან რეკვიემში ჩანს ჩვენი ტკივილის უმძაფრესობა, რომელიც, ავტორის აზრით, უფლის უარყოფის გამო დაგვემართა. ღმერთთან ერთად დავკარგეთ ურთიერთსიყვარული, შევბღალეთ ნათესაობა და „მოვიდა ეშმაკი ტკივილის მთესველი“.**

წიგნის ღირსება გახლავთ ის, რომ საკმარისია სარჩევი გადაშალო და იქ წაიკითხავ თითქმის ყველა იმ გვარს, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქმნიდა ქართულ ლიტერატურას და ამჟამად ესათუთება ქართულ ენასა და სიტყვაკაზმულ მეტყველებას. ნამდვილად მოგესურვება თითოეულ მათგანს მოეფერო, რომელგანაც ყველასთან პიროვნული სიახლოვე არ გაკავშირებს, მაგრამ შემოქმედებითი ნაღვაწით იცნობ: ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ხარჩილავა, ნინო გელაშვილი, მურმან ჯგუბურია, მზია ხეთაგური, ჯარჯი ფხოველი, სოსო სიგუა, გური ოტობაია, გივი ნიჟარაზე, თემურ შალვაძე, თამარ დაუშვილი და ათობით სახელოვანი შემოქმედი. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ემოცია და გულწრფელობა გაუზიარეს ბატონ გენო კალანდიას, რითაც ცხადყვეს რომ ის გახლავთ შემოქმედებითი მწვერვალისაკენ მიმსწრაფი, გამორჩეული ფიქრისა და შთაგონების მატარებელი პოეტი.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲝ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ

და გუგუნებდა კირის ნეკნებში მეგრის ნაძერწი
თუ ნამღერალი.“
Ზ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ

„ხორცი — ხორცად შემოგწირო,
სული — ცრემლად დაგატირო,
სამეგრელო — საგულთანო, სავარდო და სამარტვილო“.
ᲚᲐᲓᲝ ᲛᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

როცა ადამიანი კალამს ხელში იღებს და სხვის შემოქმედებაზე წერს, ცხადია, უპირველესად, პოეზია უყვარს ძლიერ, შემდეგ მისი ავტორი სცემს პატივს. იგი სულიერად იხარჯება, ფიქრობს, განსჯის, საკუთარი თვალსაზრისი სააშკარაოზე გამოაქვს. ეს იგივე უშურველობაა, კაშკაშა შუქს სინათლე შემატო, ანუ „დიდი სასახლის ირგვლივ ბაღნარი ააშენო“.

უფრო სწორი იქნება ვთქვა, მთელი ეს წიგნი ლამაზი „წალკოტია“ გაშენებული ერთი პოეტის ოაზისის ირგვლივ.

ზოგჯერ „პოეტსა თუ მწერალს შეგაყვარებს არა ერთი წიგნი, არა ერთი ლექსი, არამედ ერთი მშვენიერი ფრაზა.“ წინამდებარე წიგნში გამოთქმულია იმდენი ბუნებრივად ლამაზი, მოხდენილი და ბრწყინვალე აზრი და არა უბრალო ქება პოეტისა, რომ ამ პატარა წერილში შეუძლებელია მათი სრულყოფილად გადმოცემა. ასეთ დროს, უბრალოდ უნდა წაიკითხო, თავადვე განიცადო და შთაგონების ნათელი სხივით განიმსჭვალო, რომ სამუდამოდ მეხსიერებაში დაგრჩეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი გენო კალანდიასადმი მიძღვნილი ლექსების მრავალფეროვნება. მათი ავტორები თავად ცნობილი პოეტები ბრძანდებიან, ლექსების უმრავლესობა სულის სიმფონია, გადმოღვრილი ხსენებული ავტორთაგან, როგორც საგალობელი მეგობარი შემოქმედისადმი:

„შენ შემანჯღრიე და უნებურად,
შემატყლაშუნე სულზე ენგური,
მთებს საღამოის ბინდი ებურა, ცას — უსაშველო
სევდა მეგრული,
რუსის ციხესთან რუხი ლეკვებით, დაძუნძულებდა
ჟამი მჟვერალი,
და გუგუნებდა კირის ნეკნებში მეგრის ნაძერწი
თუ ნამღერალი.“
Ზ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ

„ხორცი — ხორცად შემოგწირო,
სული — ცრემლად დაგატირო,
სამეგრელო — საგულთანო, სავარდო და სამარტვილო“.
ᲚᲐᲓᲝ ᲛᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გვერდს ვერ ავუვლი გარდასულ ჟამთა ამსახველ ფოტოსურათებს, რომლთა სიუხვე თვალს იტაცებს და გვახსენებს ძვირფას ადამიანთა სახეებს. სურათი დროის ხატია, საკუთარი ჟამის მემატიანე. ის თითქოს აჩერებს დროს და წარმოგვიდგენს მას შეუცვლელად. ის ჩამქრალ შუქს აცოცხლებს, გრძნობას აახლებს, ნაცნობ, საყვარელ ადამიანს თვალწინ დაგიყენებს. ფოტო აფიქსირებს ადამიანის სულსაც, მის განწყობასა და ხასიათს. ამიტომ გამოქვეყნებული თითოეული სურათი ხუროთმოძღვრების ძეგლივით თავისებურად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

ამ ფოტოთაგან მკითხველის ყურადღებას იპყრობს ერთი სურათი, რომელიც აფხაზეთშია გადაღებული და რომელზეც გამოსახული არიან: ბაგრატ შინკუბა, ივანე თარბა, შოთა აკობია, ნელი თარბა, გიორგი გულია, შალოდი აჯინჯალი და გენო კალანდია. ეს გახლავთ არა უბრალო ფოტო გარდასულ დღეთა ამსახველი, ეს გახლავთ ტკბილ-მწარე მოგონებების სკივრი, ეს არის იგივე აზროვნება. ეს არის ხილული სამყაროს უმეტყველო ენა, რომელიც გვიცხადებს, რანი ვიყავით და როგორ უნდა ვიყოთ ერთად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, მიმაჩნია, რომ წინამდებარე წიგნი „ეპისტოლენი დროსა და სივრცეში“ არის ლოგიკური გაგრძელება შესანიშნავი გამოცემისა „გენო კალანდიას პარადიგმების სამყარო“, რომლის ავტორი გახლავთ ქალბატონი ციალა მესხია.

ბევრი იცნობს შესანიშნავი მკვლევარის გურამ ასათიანის ლიტერატურული წერილების კრებულს „თანამდევი სულები“, რომელიც 40-ზე მეტ შემოქმედს ეძღვნება. ციალა მესხიამ ერთ პოეტზე შექმნა იგივე მოცულობის მონოგრაფია, რომელიც გ. კალანდიას მხატვრულ, მისტიკურ, რელიგიურ, ტრადიციულ და სხვა თემებს განიხილავს ინოვაციური რაკურსით. ამბობენ, სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა — აი, მშვენიერების სამი დიადი პრინციპიო, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ც. მესხიას წიგნს ამკობს სამივე პრინციპი. ამიტომ არის ის მნიშვნელოვანი და არა მხოლოდ ერთი პოეტის შემოქმედების წარმოჩენისთვის შედგენილი.

ორთავე წიგნს მკითხველამდე მოაქვს ქართველი პოეტის სუნთქვა, ფიქრი, ტკივილი და განცდა, როგორც შორეულის გულთან დაახლოებისა. და როგორც ფერწერასა და პოეზიას აქვთ ერთი საწყისი — ღმერთი. ყველგან და ყველაფერი, ყოველთვის და ყოველმხრივ მისი გამონაშუქი გვმოსავს. სამყარო ნამდვილად უსასრულოა, მაგრამ მგონია, მას ერთი გული აქვს მხოლოდ. მისი გული კი სხვა არაფერია ჩვენი გულების ჯამის გარეშე. გმადლობთ იმისთვის, რომ თქვენ შესძელით მრავალი გულის ერთ გულში გაერთიანება .

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
ᲡᲔᲜᲐᲙᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

◎ ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ!..

ᲑᲐᲘᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲩᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ...

ᲑᲐᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲫᲔᲛ **დაცვის სამსახური დაიქირავა. „მაესტროს“ შენობას კომპანია „მაგისტრის“ დაცვის სამსახური იცავს. შენობაში შემოსვლის უფლება ექნებათ იმ პირებს, ვისზეც საშვს რეესტრში ამჟამად დირექტორად რეგისტრირებული ბაია გადაბაძე დაუშვებს.**

„დაცვის ახალი სამსახური, ალბათ, ქალბატონმა ბაია გადაბაძემ დაიქირავა. შენობის განმკარგავი დღეს ის არის. რამდენადაც მე ვიცი, ეს შენობის დაცვას ემსახურება და არა შპს „სტუდია მაესტროს“, — განაცხადა „მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ილია კიკაბიძემ.

რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს, იგი ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალურ დირექტორად ოფიციალურად, მომავალ კვირას დარეგისტრირდება და ამაში ბაია გადაბაძის განცხადება ხელს ვერ შეუშლის.

ამის შესახებ ტელეკომპანიის 55%-იანი წილის მფლობელის გია გაჩეჩილაძის ადვოკატმა ირაკლი კორძახიამ განაცხადა.

ადვოკატის თქმით, სწორედ ამის შემდეგ შეუდგება ლევან გაჩეჩილაძე საქმიანობას.

მისივე განმარტებით, ბაია გადაბაძის პოზიცია ლევან გაჩეჩილაძის ტელეკომპანიის დირექტორად დარეგისტრირებას ხელს ვერ შეუშლის.

„რეგისტრაციას გარკვეული პროცედურები სჭირდება. ჯერ საჯარო რეესტრმა უნდა დაარეგისტრიროს, შემდეგ კი — მისმა მეურვემ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაამოწმოს რეგისტრაცია. ამის შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე მესამე პირებისთვისაც გახდება „მაესტროს“ გენერალური დირექტორი“, — აღნიშნა ადვოკატმა და განმარტა, რომ ეს პროცედურები 17 თებერვლამდე უნდა მოესწროს, რა დროსაც კრედიტორთა კრებაა ჩანიშნული.

ირაკლი კორძახიას განცხადებით, დარეგისტრირების შემდეგ, ლევან გაჩეჩილაძე სასამართლოს მიმართავს, რომ მაკა ასათიანის სარჩელის წარმოება ტელეკომპანიის გადახდისუუნაროდ გამოცხადებასთან დაკავშირებით შეწყვიტოს. ეს პროცედურა კრედიტორთა კრებამდე უნდა განახორციელოს.

ᲧᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

◎ ლეგენდები

ის საქართველოდან პირველი იყო

წლეულს 5-21 აგვისტოს ბრაზილიური რიო დე ჟანეირო ზაფხულის XXXI ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. მსგავს სპორტულ ფესტივალებში ქართველი ათლეტები 1952 წლიდან მონაწილეობენ. მაშინ ჰელსინკიში 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე XV ოლიმპიური თამაშები გაიმართა. საქართველოდან ამ შეჯიბრებაში 14-მა სპორტსმენმა იასპარეზა. მათ 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ჩვენი ქვეყნიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ციმაკურიძე, რომელმაც ფინალში ირანელი გულამ-რეზა ტახტი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტულ ტანვარჯიშში გუნდურში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა მედეა (მზია) ჯუღელი, ხოლო ძალოსნობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა რაფაელ ჩიმიშკიანი. ვერცხლის მედლები დაიმსახურეს კალათბურთელებმა — ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ (საბჭოთა ნაკრები ფინალში ამერიკელებთან დამარცხდა), ასევე, მძლეოსანმა ლევან სანაძემ 4X100 მეტრზე რბენაში და მზია ჯუღელმა ჯგუფურ ვარჯიშში, მესამე ადგილებზე კი ნინო დუმბაძე (ბადროს ტყორცნა) და ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი (200 მ. რბენა) გავიდნენ.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს თბილისში მოჭიდავეთა ერთ-ერთ შეჯიბრებას ვესწრებოდი — გაზეთისთვის ინფორმაცია უნდა დამეწერა. ცნობილმა მწვრთნელმა დათო დავითაიამ თავისი სეხნია — დავით ციმაკურიძე გამაცნო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩემს გვარს ყური რომ მოჰკრა, როგორ ხარო, მკითხა მეგრულად. გაოცება რომ შემატყო, ფოთში დაბადებულ-გაზრდილ კაცს მეგრული როგორ არ მეცოდინებაო, მითხრა...

1925 წლის 29 მარტს დაიბადა. ხუთ წლამდე ფოთში ცხოვრობდა და, როგორც თავად იგონებს, მეზღვაურობაზე ოცნებობდა. პატარა ბიჭი მეზობელი მიჩმანის ნაჩუქარი ქუდით ხშირად გადიოდა შავი ზღვის სანაპიროზე და დიდხანს გასცქეროდა ტალღებზე ნაფოტივით მოქანავე გემებს. ყმაწვილის ოცნებას თურმე აღსრულება არ ეწერა, რადგან ხუთი წლისას მალარია შეეყარა და ციმაკურიძეები თბილისში მთაწმინდაზე გადმოვიდნენ საცხოვრებლად. პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა, სადაც სპორტს დიდი ყურადღება ექცეოდა. ზღვისპირელმა ჭაბუკმაც რამდენიმე სახეობაში სცადა ძალები. ველომრბოლიც იყო და ტანმოვარჯიშეც, კრივს მაშინ შეეშვა, ცხვირი რომ გაუტეხეს. თბილისის განათლების განყოფილების ფეხბურთელთა გუნდის მარცხენა გარემარბს ცურვაც ძალიან უყვარდა — ზაჰესთან რომ ჩახტებოდა მტკვარში თანატოლებთან ერთად, აბანოთუბანში ამოდიოდა წყლიდან. ჭიდაობაზე არც უფიქრია, არადა, ამ დროს მამამისი - განთქმული ფალავანი მიშიკო მაჩაბელი მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებდა...



მე მიშიკო მაჩაბელი დავირქვი

ალბათ, იკითხავთ, სად ციმაკურიძე და სად მიშიკო მაჩაბელიო.

დავითის ბაბუას თავისი ვაჟი ქუთაისში სასწავლებლად გაუგზავნია. მიშიკომ თურმე მალე გაითქვა სახელი. მისი ფალავნობის ამბავს ფოთამდეც ჩაუღწევია. „ბაბუა ძალიან გაბრაზებულა, ქუთაისში ჩასულა და მამაჩემი დაუტუქსავს — აქ სასწავლებლად გამოგიშვი, საღლაბუცოდ სად გცალიაო, უთქვამს, — მითხრა ერთხელ ბატონმა დავითმა. — რკინებას თავი დაანებე და სწავლას მიხედე, თორემ ქუთაისი უკან დაგრჩებაო, დაქადნებია. იმხანად ქუთაისის გუბერნატორი ყოფილა მაჩაბელი, მამას დიდი ქომაგი. ეს ამბავი რომ შეუტყვია, მიშიკოსთვის უთქვამს — შენ იჭიდავე და თუ გინდა ჩემი გვარით იასპარეზეო. მამაც ასე მოქცეულა, რომ ბაბუას არაფერი შეეტყო — ყველგან მიშიკო მაჩაბლის სახელით გამოდიოდა. 12 წლის ვიყავი, მამა ზესტაფონში რომ გადაიყვანეს სამუშაოდ. ოჯახიც თან წაიყვანა. ჩვენს ეზოში რამდენიმე ჩემი თანატოლი ცხოვრობდა. მათ შემაყვარეს ჭიდაობა. ღია მოედანი მოვაწყვეთ და მამამ ნახერხი მოგვიტანა. ჩემს მეგობრებს ცნობილი ფალავნების სახელები ერქვათ: ერთი ნესტორ ესებუა იყო, მეორე — სანდრო კანდელაკი, მესამე — კოსტა მაისურაძე. მაშინ მამაჩემიც ხომ ცნობილი მოჭიდავე გახლდათ, ამიტომ მე მიშიკო მაჩაბელი დავირქვი“.

— ამური ვიღამ შეგარქვათ?

— ბავშვობისას ძალიან ცნობისმოყვარე ვიყავი. მე ხომ მეზღვაურობაზე ვოცნებობდი და მომავალ კაპიტანს ყველაფერი უნდა მცოდნოდა. დედაჩემს გული შევუწუხე, ამქვეყნად როგორ გავჩნდი-მეთქი. რომ აღარ მოვეშვი, ღიმილით მითხრა: ჩვენს სახლთან ერთხელ სიყვარულის ღმერთებმა — ამურებმა გადმოიფრინეს, ერთ-ერთი დავიჭირე და ის შენ ხარო. იმ დღიდან მეტსახელად „ამური“ შემარქვეს. ძალიან მომწონს.

— თქვენი საჭიდაო კარიერა ზესტაფონიდან იწყება?

— ორი წლის შემდეგ თბილისში რომ დავბრუნდით, მაშინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე მოჭიდავეთა სამჭედლოდ წოდებულ პეტრე იორდანიშვილის დარბაზში მივედი. პირველსავე დღეს მსაჯმა ირაკლი ყიფიანმა თანატოლებთან დამაჭიდა. ყველა შეხვედრა სუფთად წავაგე. მახსოვს, ბატონმა ირაკლიმ მითხრა, მამაშენის შვილს ასე ჭიდაობა არ გეკადრებაო. შემრცხვა და ორი თვის განმავლობაში დარბაზის სიახლოვესაც არ გამოვჩენილვარ. ბატონმა პეტრემ შინ მომაკითხა. ასე რატომ იქცევიო, დამიყვავა. ჭიდაობისთვის თავის დანებება გამოსავალი არ არის, უმჯობესია, დარბაზში დაბრუნდე და მამაშენივით ჭიდაობა ისწავლოო. მისი დარიგება ჭკუაში დამიჯდა და ისევ დარბაზს მივაშურე...

სიცხლის ჟივილი

მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველი სერიოზული გამარჯვება 1942 წელს იზეიმა — ბათუმში კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, რომელშიც ნავსადგურში მდგარი გემების მეზღვაურებიც მონაწილეობდნენ (მერე მსგავს წარმატებას 13-ჯერ მიაღწია თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში). სამი წლის შემდეგ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც მაშინ საბჭოეთში ახალი ხილი იყო და ამერიკულ ჭიდაობასაც ეძახდნენ. ფინალში ცნობილი ფალავნის — ნესტორ ესებუას ვაჟი შოთა ესებუა დაამარცხა და პრიზად 6 ათასი მანეთი ერგო. მომდევნო წელს თბილისის ცირკში ტიტული შეინარჩუნა და მერე კიდევ ხუთჯერ (1947, 1949, 1950, 1951, 1952) მიაღწია მსგავს წარმატებას. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში (79 კგ) პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა (1952, ჰელსინკი) საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში თითოჯერ მეორე (1954) და მესამე (1948) ადგილები დაიკავა, ხოლო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორჯერ (1947, 1948) მეორე ადგილებზე გავიდა.



დიდ სპორტთან განშორების შემდეგ თბილისში მოჭიდავეთა ტურნირი არ გამართულა, დავით ციმაკურიძე რომ არ დასწრებოდა და ახალგაზრდებისთვის რჩევა-დარიგებები არ მიეცა. ყველას სიამოვნებდა მასთან ურთიერთობა და საუბარი, მით უმეტეს ჟურნალისტებს. მეც შემთხვევას არ ვუშვებდი მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების შესატყობად.

საბჭოელ სპორტსმენებს ჯერ კიდევ 1948 წელს ლონდონში უნდა ეასპარეზათ ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ ისინი ინგლისის დედაქალაქში არ გაუშვეს, რადგან სახელმწიფო პოლიტიკა იყო ასეთი — ოლიმპიადიდან გუნდური პირველი ადგილი უნდა ჩამოეტანათ, ამის გარანტიას კი ვერავინ იძლეოდა. უფრო მეტიც — სპორტის რამდენიმე სახეობაში საბჭოთა ათლეტების შედეგები საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა მეტოქეებისას. ამიტომაც, სტალინის ბრძანებით, ოლიმპიადაზე გამგზავრება ოთხი წლით გადაიდო. მწვრთნელებს დაევალათ, ჰელსინკისთვის უპირატესად ის სპორტსმენები შეერჩიათ, რომლებიც მედლებისთვის იბრძოლებდნენ. რჩეულთა შორის დავით ციმაკურიძეც გახლდათ, რომლისთვისაც ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო. ეიმედებოდათ შვიდგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მაგრამ რამდენად დიდი იყო მწვრთნელთა გაკვირვება, რომ მესუჰალეს დარბაზში ციმაკურიძემ პირველივე შეხვედრა დათმო შვედ ბენგტ ლინდბლანდთან, უფრო სწორად, არბიტრებმა წააგებინეს. ბატონმა დავითმა მიამბო, რომ იმ შეხვედრაში მეტოქეს, რომელიც მთელი ორთაბრძოლის განმავლობაში ხალიჩიდან გარბოდა, თავიდან ორი ქულა აართვა. მერე მსაჯებმა შვედს ორი ქულა აჩუქეს და პაექრობა ფრედ დასრულდა. ნორვეგიელმა და ფრანგმა მსაჯებმა უპირატესობა ბენგტს მიაკუთვნეს, მხოლოდ თურქი იყო ციმაკურიძის მხარეს. საბჭოთა დელეგაციის მესვეურებმა შედეგი გააპროტესტეს და 5.000 ფინური მარკაც გადაიხადეს, მაგრამ გადაწყვეტილება არავის შეუცვლია. ქართველმა ფალავანმა 3 საჯარიმო ქულა მიიღო და ფინალში მოხვედრა სათუო გახდა. გასახდელში არსენ მეკოკიშვილმა დამშვიდება დაუწყო. „მე ჩემპიონი გავხდები, ყველას ბეჭებზე დავაწვენ“, — დაბეჯითებით უთხრა დავითმა თანამემამულეს.

ჰოჯი და ტახტი

მეორე მეტოქედ 23 წლის ამერიკელი დან ჰოჯი ჰყავდა, ფიზიკურად ძლიერი ფალავანი. ოკეანისაღმელმა 1956 წელს მელბურნში ვერცხლის მედალი დაიმსახურა, მერე კრივში გადაინაცვლა და ამერიკის ჩემპიონობასთან ერთად „ოქროს ხელთათმანიც“ დაიმსახურა. აი, ჰელსინკიში კი არ გაუმართლა, რომ მეორე წრეში დავით ციმაკურიძეს გადაეყარა. საკუთარ ძალებში ზედმეტად თავდაჯერებული ჯიქურ წამოვიდა მეტოქისკენ და პირველივე იერიშისას ჩოქბჯენში გადაიყვანა ქართველი ფალავანი — 1:0. მერე ზედიზედ ოთხი ქულა აართვა. 5:0 წარმატების მისაღწევად საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეექვსე წუთის მიწურულს ციმაკურიძემ ქართული ფანდით ამერიკელი ჰაერში აისროლა და ბეჭებით გააკრა ხალიჩას.

ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ეგვიპტელი მოჰამედ აბდუ ჰუსეინი უფრო იოლად დაამარცხა ჩვენებურმა — წუთსა და 15 წამში სუფთად მოუგო და ფინალურ ოთხეულში შევიდა, სადაც საჯარიმო ქულები მოეხსნა, რადგან შვედი მოჭიდავე მედლებისთვის მებრძოლთა კვარტეტში ვერ მოხვდა. ნახევარფინალში ციმაკურიძემ უნგრელი დიორდ გურიჩი დაამარცხა და ფინალში გავიდა, მაგრამ ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრო — ისევ ხალიჩაზე უხმეს საბრძოლველად. თურმე უნგრელმა ფეხის ტრავმა მოიმიზეზა, რათა ირანის შაჰის საყვარელ ფალავანს — გულამ-რეზა ტახტს ზედმეტი არ ეჭიდავა. სპარსისა და ქართველის პაექრობა დაძაბული გამოდგა. „ორთაბრძოლის წინ ტახტი მუხლებზე დაემხო და ალაჰს შესთხოვა გამარჯვება. გავიფიქრე, ამას ჩემი შინებია-მეთქი და თამამად გავედი საჭიდაოდ. ხელის ჩავლებისთანავე მივხვდი, როგორი ძლიერი მეტოქე მყავდა. ამის მიუხედავად, უკან არ დამიხევია, ტახტი ქულებით დავამარცხე და ოქროს მედალი დავიმსახურე“, — ასე იხსენებდა ფინურ ბატალიებს პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი. ხალიჩიდან იგი არსენ მეკოკიშვილმა, ვახტანგ ბალავაძემ და გივი კარტოზიამ ხელში აყვანილი გამოიყვანეს. ჰელსინკიში ჩასვლამდე სპორტსმენებს უთხრეს, ვინც ოქროს მედალს მოიპოვებს, 25 ათასი მანეთით დააჯილდოებენო, მაგრამ საბჭოეთში დაბრუნებულები 5000-ს დააჯერეს. ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ დავით ციმაკურიძემ კიდევ ორი წელიწადი იჭიდავა. 1954 წელს საქართველოს ნაკრებმა თბილისის ცირკში იაპონიის გუნდს უმასპინძლა. ის შეხვედრა ქართველებმა 6:2 მოიგეს. ციმაკურიძემ სტუმართა საუკეთესო ფალავან კაცურამოტოს აჯობა. ეს მისი ბოლო ჭიდაობა იყო. მერე მწვრთნელად მუშაობდა. 1956 წელს საკავშირო ნაკრებთან ერთად მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრა. საბჭოელებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და დავით ციმაკურიძეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

სახელოვანი ფალავანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფილას, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენების კავალერი დავით ციმაკურიძე 2006 წელს გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

◎ ინტერნეტიდან

ლიზ სოლარი — სართიჭალელთა გვერდით

ბედოვლათი სანტიაგო სოლარის მოდელი დაიკო ლიზ სოლარი ნამეტნავად სკანდალებისმოყვარე რომაა, ეს ყველამ კარგად იცის და ამ ასულისგან უცნაური ქცევები არავის უკვირს. თუმცა, საციხოდ თუ გაიხდიდა თავს, ამას ალბათ თვით დიადი გოგი თოფაძეც კი ვერ წარმოიდგენდა.

ლიზ სოლარის მანქანაში ბუენოსაირესის პოლიციამ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებები აღმოუჩინა და ერთი ღამით სართიჭალელი „ბარიგების“ გვერდით მოათავსა სპატიმროში. საბოლოოდ თავქარიანმა ლიზიკომ დაამტკიცა, რომ აღნიშნული ნარკოტიკები გასაყიდად არ იყო გამიზნული, მაგრამ კარგა მოზრდილი ჯარიმის გადახდა კი მაინც მოუწია.

როგორც არგენტინაში ამბობენ, თურმე წინასწარი დაკავების საკნიდან გამოსულ მოდელს ჯერ ტანსაცმლიდან სპატიმროს მტვერი ჩამოუბერტყავს, მერე ჰაეროვანი კოცნით დამშვიდობებია ციხის რუხ კედლებს და თან დაუფიცია, გურჯაანელი „სტეკლო მაყვალა“ ვიყო, ნარკოტიკებს კიდევ თუ გავეკაროო. აფსუს, მაყვალ, აფსუს....

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სულიერება

მელქისედეკ I — საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქი, სვეტიცხოვლის განმაახლებელი

6 თებერვალს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მელქისედეკ I-ს (1010-1033 წ.წ.) ბაგრატ III-ის ახლო ნათესავს, პირველ კათალიკოს-პატრიარქს.

ცნობილია, რომ მელქისედეკ I დიპლომატიური მისიით არაერთხელ ყოფილა კონსტანტინოპოლში, ბიზანტიის იმპერატორის კარზე. მის სახელს უკავშირდება საქართველოში პატრიარქობის დაწესება.

მელქისედეკ I მიერ შედგენილი ანდერძი საუკეთესო წყაროა XI საუკუნის საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის შესასწავლად.

* * *

7 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს (ქიქოძე, 1896 წ.). გაბრიელ ეპისკოპოსმა 1839 წელს დაამთავრა თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1860 წელს იმერეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად აკურთხეს.

გაბრიელ ეპისკოპოსი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრი იყო. მან საკუთარი სახსრებით რამდენიმე სახალხო სკოლა გახსნა.

გაბრიელ ქიქოძის ქადაგებები გამოცემულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე.

საქართველოს ეკლესიის წმინდანი — დავით აღმაშენებელი

8 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენებას (1125 წ.).

დავით მეფე 16 წლის ასაკში გამეფდა. მემკვიდრეობით მას თურქ-სელჩუკთაგან დარბეული და დაცარიელებული ქვეყანა ერგო. დავითის ენერგიული საქმიანობის შედეგად დაიწყო საქართველოს გახიზნული მოსახლეობის თავიანთ მიწაზე დაბრუნება.

ცნობილია, რომ ერთ-ერთი უძლიერესი და უდიდესი ღვაწლი დავით აღმაშენებლის საქმიანობაში ქართული ეკლესიის გაძლიერებისთვის ბრძოლა იყო. რუის-ურბნისის საგანგებო საეკლესიო კრებამ, რომლის მოწვევის ინიციატორი დავით აღმაშენებელი იყო, ქრისტიანული სარწმუნოების აღორძინებას და განმტკიცებას მყარი საფუძველი დაუდო და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს იდეური დასაყრდენი მისცა.

დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული ქართული რელიგიისა და კულტურის უდიდესი ცენტრის — გელათის მონასტრისა და მასთან არსებული გელათის აკადემიის დაარსება (1106 წ.).

დავით აღმაშენებელი მწიგნობრობისა და მთარგმნელობის დიდი ხელშემწყობი იყო.

გიული ლიპარტია

კოლეგის ხსოვნას

ნინო ჩიქოვანი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენერგეტიკის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი — ქალბატონი **ნინო ჩიქოვანი**.

ქალბატონი ნინო დაიბადა ქ. ქუთაისში 1914 წლის 20 ივნისს. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, როგორც ჰიდროტექნიკის მშენებლობის ახალგაზრდა სპეციალისტი, „გოელროს“ ცნობილი გეგმით პეტერბურგთან ახლოს მშენებარე „სვირისჰესის“ მშენებლობაზე მოხვდა განაწილებით. ამის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულმა მუშაობა „წყალპროექტში“ დაიწყო, საიდანაც გადაჰყავთ „საქენერგოში“, სადაც მრავალი წლის განმავლობაში, ერთ-ერთი წამყვანი — ჰიდროტექნიკური სამსახურის სექტორის ხელმძღვანელად მუშაობდა.

ქალბატონი ნინოს მოღვაწეობა საქართველოს ენერგეტიკის დარგში სამაგალითო იყო ყველა ენერგეტიკოსისათვის — საქმისადმი ერთგულება, მაღალი პროფესიონალიზმი, არაამქვეყნიური წესიერება და პატიოსნება, ქალური კდემამოსილება და სილამაზე, სინაზე და კეთილშობილება, ეს მცირედი ჩამონათვალია იმ თვისებებისა, რითაც შემკული იყო ქალბატონი ნინო.

ქალბატონ ნინოს მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და სიგელი.

მის კოლეგებსა და ნაცნობებს ისღა დაგვრჩენია, რომ მივუსამძიმროთ მის ახლობლებსა და ნათესავებს ქალბატონი ნინოს იმქვეყნიურ სასუფეველში გარდასვლა.

მშვიდობით ჩვენო კეთილო ადამიანო, დაე საქართველოს მიწა მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის!

პანაშვიდი 7, 8 თებერვალს.

დაკრძალვა 9 თებერვალს, 14 სთ. (მის: ვაკე, დარიალის შესახვევი 32, II სართ — აბაშიძის ქუჩის ბოლოს).

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

◎ კრიმინალი

„თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომელი დააკავეს

საძართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე, თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომელი მიხეილ მეთაფლიშვილი დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებული ერთ-ერთ მოქალაქეს დაჰპირდა „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებას, სანაცვლოდ კი ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 1500 ლარი.

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე კომპანიის თანამშრომლის დაკავებას ეხმაურება:

შპს „თბილსერვის ჯგუფი“, უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად თანამშრომლობს გამოძიებასთან.

მოვუწოდებთ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებს, ბოროტად ნუ გამოიყენებენ დაკავებულ თანამდებობას და კომპანიის სახელს. ნუ შელახავენ „თბილსერვის ჯგუფის“ კეთილსინდისიერად მომუშავე თანამშრომელთა ღირსებასა და პატივს.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ადმინისტრაცია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ რეაგირების გარეშე არ დატოვებს კანონის წინაშე დანაშაულის ნიშნების შემცველ არცერთ ფაქტს.

ამოღებულია დიდი რაოდენობით „ექსტაზი“

შსს-ს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ცირა ღ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ცირა ღ-ს პირადი ჩხრეკისას 25 აბი „ექსტაზი“ ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს ნარკოტიკი თურქეთის რესპუბლიკიდან შემოჰქონდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

შემზარავი თვითმკვლელობა ქუთაისში

სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა ქუთაისში — ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო. შემთხვევა, ანჯაფარიძის ქუჩაზე, წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

ადგილობრივების თქმით, ცხედარი გუშინ დილით გამვლელებმა იპოვეს და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები გაიოზ გალდავაძე, რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი დიდი მწუხარებით იუწყებიან ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლის და შესანიშნავი პიროვნების

თამაზ გველესიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

საკრებულოს თავმჯდომარე იმპიჩმენტით გადააყენეს

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაპუნა კობერიძე თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადააყენეს.

კენჭისყრაში საკრებულოს 15 წევრიდან რვამ მიიღო მონაწილეობა, შვიდმა კი, კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. კენჭისყრაში მონაწილე რვა დეპუტატიდან რვავემ დადებითი პოზიცია დააფიქსირა, რის შედეგადაც გორის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვალა.

◎ შესწორება

„საქართველოს რესპუბლიკის“ მ/წლის 5 თებერვლის №22-ში (7914) გამოქვეყნებული განცხადების მე-6 და მე-8 აბზაცში შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრ ეკოლოგის“ ოფისის მისამართად მითითებულია „ქ. თბილისი, ლარსის შეს. 35“, მაშინ როდესაც უნდა იყოს „ქ. თბილისი, ლარსის შეს. №5“.

შპს „ჯეოკონის“ დირექცია

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ჩვენი კარაბადინი

4 წესი, რომ დიდხანს ვიცოცხლოთ

გულთან და სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები ყველაზე სახიფათოა, მაგრამ თუ ინფარქტებს ჩვენთან ებრძვიან სახელმწიფოს დონეზე, ისწავლეს კიდევ უფრო უკეთ უმკურნალონ და მოახდინონ რეაბილიტაცია მათ შემდეგ... ინსულტთან დაკავშირებით საქმე გაცილებით უარესადაა.

აქ ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, „თუ როგორ გაგვიმართლებს“: რომელი ინსულტი გაგვიჩნდა, რამდენად მძიმე იქნება მისი შედეგები და ამ შემთხვევაში მთავარი ხსნა — პროფილაქტიკაა და რამდენადაც არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია აღკვეთოს ნებისმიერი ეს და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ბევრი სხვა უფრო ცბიერი დაავადებანი, ჩვენ უბრალოდ ვალდებული ვართ წინასწარ ვიზრუნოთ თქვენთვის. მაშ, რა უნდა გავაკეთოთ?

1. თვალყური ადევნეთ წნევას. თუ იგი ვერცხლისწყლის სვეტის 140-90 მილიმეტრზე მეტია — მიაკითხეთ ექიმს. იმ შემთხვევაში, თუ ის დაადასტურებს დიაგნოზს „ჰიპერტონია“, მოგიწევთ დაიცვათ დანიშნული მკურნალობა. ესაა ცხოვრების წესის კორექტირებაც (მეტი მოძრაობა, დადებითი ემოციები) და კვებაც (მინუს შემწვარი, ცხიმიანი, წითელი ხორცი, სუბპროდუქტები; პლუს ბოსტნეული, ხილი, მცენარეული ცილები, ფრინველის თეთრი ხორცი) და პრეპარატები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ მუდმივად, და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე.

2. მიატოვეთ მოწევა და სმა. გარდა ზიანისა ფილტვებისათვის 25 პროცენტით იზრდება რისკი — გადავეყაროთ გულის იშემიურ დაავადებას. ალკოჰოლი არა მხოლოდ გავლენას ახდენს გულზე, სისხლძარღვებსა და ტვინზე, არამედ შეიძლება გახდეს სისხლში შარდმჟავის დონის ამაღლების მიზეზიც. ამისგან კი ცუდად იქნება საქმე გულ-სისხლძარღვთა სისტემასთან და სახსრებთან დაკავშირებითაც.

3. გაიარეთ ყველა აუცილებელი ანალიზი. გაიკეთეთ ექოკარდიოგრაფია, განისაზღვრეთ შაქრის, ქოლესტერინის, შარდმჟავის დონე. ექიმს ასე შეუძლია შეარჩიოს მკურნალობა, რომელიც ოპტიმალური და ეფექტიანი იქნება.

4. თვალყური ადევნეთ თქვენს მდგომარეობას. ნუ მიაწერთ თქვენ განწყობილებას დაღლილობას, ამინდს, იმას, რომ ვერ გამოიძინეთ, ნერვიულობდით და ა.შ. უმჯობესია, ზედმეტჯერ ეჩვენოთ სპეციალისტს, ვიდრე მერე აღმოჩნდებოდეთ საავადმყოფოს საწოლზე და მკურნალობდეთ რომელიღაც მართლაც სერიოზულ დაავადებას. ეს არ იქნება იოლი არც თქვენთვის, არც მათთვის, ვისაც უყვარხართ.

ქართული ქვევრის ღვინო საფრანგეთს იპყრობს

ძართული ქვევრის ღვინო მიმდინარე კვირაში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით პარიზში, ბლუაში, ანჟეში, სომურსა და ორლეანში სხვადასხვა ღონისძიებაზე იყო წარდგენილი.

ღვინის პროფესიონალებს, მოყვარულებს, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ შემდეგი მწარმოებლების ღვინოები: „იაგოს ღვინო“, „ხოხბის ცრემლები“, „რამაზ ნიკოლაძის მარანი“, „ოქროს ღვინო“, „მეღვინეობა ნიკი ანთაძე“, „ნათენაძის ღვინის მარანი“ და „მარიამ იოსებიძის ღვინო“.

სააგენტოს ინფორმაციით, ქალაქ სომურში გამართულ ბუნებრივი ღვინოების გამოფენას „La Dive Boutteille“, სადაც ქვევრის ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ, საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრნენ. გამოფენა ტრადიციულად ცქრიალა ღვინოების მწარმოებელი კომპანიის „Ackerman“ ისტორიულ გვირაბში ჩატარდა. ორდღიან გამოფენაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ასობით მეღვინე მონაწილეობდა.



საფრანგეთში საქართველოს ელჩის განცხადებით, მსგავს ღონისძიებებში ქართული ღვინის წარდგენით იზრდება შესაძლებლობა, რომ საქართველო სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა.

„საფრანგეთში ქართული ღვინის წარდგენა მსოფლიო მასშტაბის აღიარებაა. აღნიშნულ ღონისძიებებზე ქართულ ღვინოს არა მარტო ფრანგები, ასევე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც ეცნობიან, ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მაქსიმალურად გავაკეთოთ ქართული ღვინის პრომოცია და წარმოდგენილი ვიყოთ ყველა მსგავს ღონისძიებაზე. შედეგები უკვე სახეზე გვაქვს, რადგან სულ უფრო მეტი და მეტი ფრანგი საუბრობს, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო“ – აღნიშნა ეკატერინე სირაძე-დელონემ.

თავის მხრივ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქართული ღვინის იმიჯისთვის ქვევრის ღვინოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

„აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილია ქვევრის ღვინოები, რომელზეც უფრო და უფრო მეტს საუბრობენ საფრანგეთში. ქვევრის ღვინო ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათია, იმისთვის რომ ქართული ღვინო უფრო ცნობილი გახდეს ამ უმნიშვნელოვანეს და უდიდეს ბაზარზე. საფრანგეთში ღვინის წარდგენით ქართული ქვევრის ღვინო ცნობილი ხდება, ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ბაზარზე. ქართული ღვინო მომავალშიც იქნება წარმოდგენილი ნატურალისტი მეღვინეების გამოფენებზე, რაშიც ქვევრის ღვინის მწარმოებლებს ღვინის ეროვნული სააგენტოც დაეხმარება“ – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ქვევრის ღვინის მწარმოებლები ასევე მონაწილეობდნენ ამავე პერიოდში ქალაქ ანჟეში ჩატარებულ ბუნებრივი ღვინოების გამოფენაში „Les Penitentes“. აღნიშნულ გამოფენებზე ქართული ღვინო წარდგენილი იყო მსოფლიოს მეღვინეობით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი.

ქართველი მეღვინეები აცხადებენ, რომ ანჟესა და სომურის ტრადიციულმა გამოფენებმა მათ მნიშვნელოვანი იმპორტიორები შესძინა, რამაც შესაბამისად ღვინის ექსპორტის ზრდა გამოიწვია.

„La Dive Boutteille“ და „Les Penitentes“ საფრანგეთში ითვლება წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ბუნებრივი მეღვინეობის სფეროში, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ნატურალისტი მეღვინეები, სხვადასხვა ქვეყნის ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და სომელიეები ესწრებიან.

გამოფენებთან ერთად ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა პარიზში, ბლუასა და ორლეანში სპეციალიზებულ ღვინის მაღაზიებსა და ბარებში. დეგუსტაციას უძღვებოდნენ ფრანგი სომელიე სებასტიან შატილონი და ფრანგი მეღვინე ტიერი პუზელატი. ქვევრის ღვინომ ადგილობრივი ღვინის იმპორტიორების, ღვინის მაღაზიებისა და რესტორნების წარმომადგენლების, ასევე ღვინის მოყვარულების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში როგორიც საფრანგეთია, 2015 წელს საქართველოდან 38 ათასი ბოთლი ღვინო იყო იმპორტირებული, რაც 190%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საფრანგეთში ექსპორტის ძირითადი წილი სწორედ ქვევრის ღვინოზე მოდის.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ დედაქალაქი

ახლა ტროტუარებიდანაც გვერეკებიან...

მას შემდეგ, რაც თბილისის ქუჩებში ავტომანქანების გაჩერების განმკარგველები კომპანია „სითი პარკის“ აგენტები გახდნენ, რომლებიც დღედაღამ უბან-უბან დაიარებიან და ცუდად ანდა უადგილო ადგილას გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებების ძებნაში არიან, ავტომობილისტებმა ფეხით მოსიარულეთათვის გამოყოფილი სივრცეების ინტენსიური ათვისება დაიწყეს.

„სითი პარკის“ მესვეურები, რომლებიც ამდენი წელია თბილისის მერიიამ თავიდან ვერა და ვერ მოიცილა, იმდენად ლაღად გრძნობენ თავს, რომ ბევრ ადგილას ტროტუარებზე მანქანების სადგომებად ადგილების გამოყოფა და მათი მონიშვნაც აქტიურად დაიწყეს (მაგალითად, ჭავჭავაძის პროსპექტზე). ახლა მათ მძღოლებიც აყვნენ და ბოლო დროს სულ უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყეს თავისუფლების მოედნის მეტროს სადგურისა და ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მიმდებარე ტერიტორიის „ათვისება“. აქ გაჩერებული მანქანების ოდენობა დღითი დღე იზრდება, ხალხს ფეხით გავლა უჭირს, რადგან აქაურობის აქტიურად გამოყენება გარე მოვაჭრეებმა, ახალგაზრდებმა კი საცეკვაო-სასიმღერო მოედნად დაიწყეს. ცეკვა-თამაში, იცოცხლეთ, კარგია, მანქანების გასაჩერებელი ადგილიც საჭიროა, მაგრამ ყველაფრის თბილისის მოქალაქეთა ხარჯზე გაკეთება ხომ არ შეიძლება?

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– სარა, რამე გვაქვს დასალევი?
– კი. ცეილონის ჩაი.
– რამე უფრო მაგარი არა?
– კარგი, ჯანდაბას, ახალი პაკეტი აიღე.

* * *

ადრე სკოლაში ასწავლიდნენ ბავშვებს წერა-კითხვას, ახლა კი სკოლაში ამოწმებენ, როგორ ასწავლიან ამას ბავშვებს ოჯახებში.

* * *

დაიხსომე და შენს ბავშვებსაც ასწავლე: ადამიანები შექმნილი არიან შრომისთვის, ნივთები კი სახმარად, ნუ შეუცვლით ამ ცნებებს ადგილებს.

* * *

ახალი დიეტა: 3 დღე – მარტო ხილის წვენი; 5 დღე – მხოლოდ ფაფები; 7 დღე – მხოლოდ ვაშლები: მერე 9 დღე... მერე... 40 დღე.

* * *

მოკლედ ტემპერამენტის ტიპის შესახებ:
სანგვინიკი – ტვინს გრძნობები მართავენ.
ქოლერიკი – გრძნობები მართავენ ტვინს.
ფლეგმატიკი – ტვინს არ ჰყოფნის გრძნობები.
მელანქოლიკი – გრძნობებს არ ჰყოფნის ტვინი.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!